# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 1 სექტემბერი, 2012 წელი.

№167 (7043)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## სააკაშვილის ადგილი სულ სხვა „თეატრშია“

**მარიამობის ენვერიადა – „აგვისტოს 5 დღე“-2 როგორც მოდელირებული ფარსი**




③

## პარტიებმა საარჩევნო სიები წარადგინეს

②

## თითქოს სადღეისოდ დაეწეროს

**ვაჟა-ფშაველა**

### კიდევაც ვნახავ გაზაფხულს



კიდევაც ვნახავ გაზაფხულს,
ყელ-მოღერებულს იასა,
სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველს,
იმის სიტურფეს ღვთიანსა,
ამწვანებულსა მთა-ბარსა,
დამწყაზრულს, ყვავილიანსა.

კიდევაც ვნახავ ცა სჭექდეს,
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
ანოყივრებდეს მიწასა,
მდინარეები ხვიოდეს,
აღარვინ იტანჯებოდეს
და აღარც ვისა ჰშიოდეს;
სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ჰყიოდეს;
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს.

გუშინწინ ვნახე, გუშინაც,
გველი სწამლავდა იასა,
აშლიდა შხამსა და გესლსა,
ვერ კი აძლევდა ზიანსა.
დღეს ვხედავ, ია მთელია,
სუნნელოვანი, ნაზია,
ვუცქერ და ვამბობ იმასვე:
რა ტურფა, რა ლამაზია!
გველი დაღოღავს მუცლითა,
ახრჩობს ბოღმა და ბრაზია.

კიდევაც ვნახავ, უხვადა
ვარდნი, იანი ჰყვაოდენ.
ნაცარ-მტვრად იყვნენ ქცეულნი,
ვინაც გუშინა ზვაობდენ;
შხამის და გესლის მთესველნი
მოისპნენ, არარაობდენ,
ჩვენის სიკვდილის მსურველნი
ყორნები ველარ ჩხაოდენ —
დაჰბეროს სიცოცხლის სიომ
მომაკვდავს არე-მარესა,
გაუათასდეს სინათლე
ცაზე მზესა და მთვარესა,
უხვადა სძლვნიდენ წყალობას
ამ ჩვენს დაჩაგრულს მხარესა.
ჩვენც, მსხვერპლნი ძალმომრეობის,
ცრემლს აღარ ვღვრიდეთ მწარესა,
ჩიტების ტკბილი გალობა
ისმოდეს ყოველ მხარესა...

(იანვარი, 1906 წ.)

## ჩაი არა, სამსალა ყოფილა!..

④



## თურქეთ-საქართველოს მოლაპარაკებას საიდუმლო გრიფი სააპელაციო სასამართლომაც არ მოხსნა

⑧

## ბაგრატიონი, ნაპოლეონი, ბოროდინო

⑥

№167. შაბათი, 1 სექტემბერი, 2012 წელი.

ათვლა დაიწყო...

# პარტიებმა საარჩევნო სიები წარადგინეს

**კოალიცია „ბიძინა იავნიშვილი — ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი და სამტრედიის მაჟორიტარობის კანდიდატი კახი კალაძე იქნება.**

მომდევნო ნომრები არიან — მანანა კობახიძე, ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი, გუბაზ სანიკიძე, გოგი თოფაძე, ზვიად ძიძიგური, დავით საგანელიძე, ირაკლი ღარიბაშვილი და ვანო კილურაძე.

პირველი ოქტომბრის საპარალამენტო არჩევნებისთვის, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის„ პარტიულ სიაში ინგა გრიგოლია, ზაზა გაბუნია და ჯაბა სამუ-




შია არ შედიან, თუმცა მაჟორიტარობის კანდიდატები არიან გლდანის, კრწანისისა და ნაძალადევის საარჩევო ოლქებში.

ამასთან, არც პარტიულ და არც მაჟორიტარულ სიაში არ შედის პარტიის წევრი და დეპუტატი ნიკა ლალიაშვილი, რომელიც „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ თბილისის ოფისს უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება, პარტიული სიის ათეულს, პირველი ნომერი გიორგი თარგამაძე იქნება, მეორე — ლევან ვეფხვაძე, მესამე — გიორგი ახვლედიანი, მეოთხე — მაგდა ანიკაშვილი, მეხუთე — პაატა დავითაია, შემდეგ მოდიან — თამაზ გაიაშვილი, გიორგი რუხაძე, ზაზა ვეკუა, კახა კორძაია და ნინო გურიელი.

ამასთან, ქდმ-ს დიდუბისა და საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატები იქნებიან მომღერალი ზურაბ ხაჩიძე და ფსიქოლოგი ნოდარ სარჯველაძე.

გიორგი თარგამაძის განცხადებით, სია რომელსაც „ქრისტიან-დემოკრატები“ წარუდგენენ საზოგადოებას არის კვალიფიციური, პროფესიონალი ადამიანებითა და იმ ლიდერებით დაკომპლექტებული, რომლებმაც ოთხი წლის განმავლობაში თავი არ დაზოგეს ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

მოძრაობის ლიდერის თქმით, შემდეგი მოწვევის პარლამენტი განსაკუთრებით აქტიური და დაბალანსებული იქნება, რაშიც „ქრისტიან-დემოკრატები“ გადამწყვეტ როლს შეასრულებენ.

„ახალი მემარჯვენეების“ პარტიული საარჩევნო სიის პირველი ათეული ასეთია: დავით გამყრელიძე — პარტიის თავმჯდომარე და ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი, ფიქრია ჩიხრაძე — თელავის მაჟორიტარობის კანდიდატი, მამუკა კაციტაძე — საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატი, მანანა ნაჭყებია — ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი, რევაზ სოხაძე — ისნის მაჟორიტარობის კანდიდატი, გიორგი ასათიანი — წყალტუბოს მაჟორიტარობის კანდიდატი, ლევან კალანდაძე — ოზურგეთის მაჟორიტარობის კანდიდატი, გიორგი ლორთქიფანიძე — დიდუბის მაჟორიტარობის კანდიდატი, ირინა ფრუიძე — პარტიის საერთაშორისო მდივანი, მამუკა მღვდელაძე — ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი.

პარტიული სია ცესკოში მამუკა კაციტაძემ და რევაზ სოხაძემ შეიტანეს, სულ პარტიულ სიაში 149 ადამიანია. კაციტაძის ცნობით, სიის ყოველ ათეულში სამი ქალია.

„ჯონდი ბაღათურია — ქართული დასის“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი ჯონდი ბაღათურიაა, მეორე კი — პოლიტიკური გაერთიანება „განახლებული საქართველოსთვის„ თავმჯდომარე ნანა გულუა.

სიაში მომდევნო ადგილებს იკავებენ: ირაკლი ქარდავა, ანზორ ბაღათურია, ლევან გვარმიანი, ჯემალ ანთიძე, მაია სირაძე, გოჩა გულუა, ხათუნა ჩარკვიანი და გიორგი ბაშარული.

სულ პარტიულ სიაში 173 კანდიდატია წარმოდგენილი. პარტიას მაჟორიტარი კანდიდატი 37 საარჩევნო ოლქში ჰყავს.

**ინტერპრესნიუსი**

# ბიძინა ივანიშვილი: პოლიტიკიდან გამარჯვებული წავალ...



**ბიძინა ივანიშვილს ერთი სული აქვს, პოლიტიკიდან წავიდეს, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ დილით, ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში განაცხადა.**

**მისივე თქმით, პოლიტიკაში აუცილებლობის გამო მოვიდა და არა იმიტომ, რომ ეს მისი სურვილი იყო.**

**— ერთი სული მაქვს, როდის წავალ პოლიტიკიდან. ახლაც არ ვგრძნობ თავს კომფორტულად. სააკაშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის იმაში, რომ არჩევნებში ჩვენ გავიმარჯვებთ, მაგრამ არც მე ვარ ცუდი კაცი და გუნდიც კარგი მოვიყვანეთ,** — განაცხადა ივანიშვილმა.

„ქართული ოცნების“ ლიდერის თქმით, ძალადობრივი პოლიტიკა ამ ხელისუფლების სტილია და როგორც კი ისინი შეჩერდებიან, მაშინვე დამთავრდება ყველაფერი.

**— მოძალადეები ვართო და ამის დემონსტრირებას ახდენენ. პოლიცია საშინელ დღეში ჰყავთ, აშანტაჟებენ. 100-200 თავგანწირული კაცი ჰყავთ, რომელთა მეშვეობითაც ზეწოლას ახორციელებენ ადამიანებზე. ჟურნალისტებსაც არ მგონია, ძალიან სიამოვნებდეთ, რასაც აკეთებენ, მაგრამ ეს ხელისუფლება ძალადობის მანქანის მუშაობას ახერხებს,** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

**— პოლიტიკური ოპოზიცია უნდა იყოს მყარი. ხელისუფლებიდან რომ წამოვალ, შეიძლება, რამდენიმე ჯანსაღ ძალას ერთჯერადი დახმარება გავუწიო, თუ საჭირო გახდება. ვინც ოპოზიციაში, ჩემი ხელისუფლების გარეთ დარჩება, მათთან ერთად მე ვიქნები იმ ხელისუფლების მაკონტროლებელი, რომელსაც დავტოვებ. მაგრამ ეს ჯანსაღი ძალა უნდა იყოს. უკვე მაქვს 3-4 პარტია ამორჩეული, რომლებიც დღეს სუსტები არიან და რომელთა გაძლიერებაც შეიძლება. დღეებს ვითვლი, როცა პოლიტიკიდან წავალ, მაგრამ კუდამოძუებული კი არ წავალ, გამარჯვებული წავალ და დავტოვებ ხელისუფლებას, რომელზეც პასუხს ვაგებ. ბერკეტი საზოგადოების ხელში უნდა იყოს. მეოცნებე ვარ და მიყვარს ოცნება, თუმცა, პრაგმატიზმიც არ მაკლია,** — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება არჩევნებს, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, თუ ჩვენ არ ვთქვით, რომ არჩევნების შედეგებს ვიღებთ, საერთაშორისო თანამეგობრობა ამ არჩევნებს არ მიიღებს.

მისივე თქმით, ხელისუფლებამ უამრავი კანონდარღვევა განახორციელა და კრიტიკული მასა იმხელაა, რომ არჩევნები დამკვირვებლებმა არ შეიძლება ლეგიტიმურად და დემოკრატიულად ცნონ.

**— ჩვენ დავიწყეთ დამეგობრება დამკვირვებლებთან. ხშირად ჩამოდიან ფორმალურად და ამის მაგალითები ხშირია. მე არ ვამბობ, რომ ხელების ამოგრეხა მიდის, მაგრამ დამკვირვებლებს უკვე დახვდათ ძალა, რომელიც არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებით დაინტერესებულია. ჩვენ ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ერთი ხედვა გაგვიჩნდეს. ერთნაირი ხედვა ჩამოყალიბდება. ჩვენ არ გვინდა, დემონსტრაციები დავიწყოთ. ისინი რამდენიმე დღით ადრე ნახავენ, რომ შედეგების გადაწერას აზრი არა აქვს. სააკაშვილი ისეთ აგონიაშია, შეიძლება, დამკვირვებლების უარყოფით შეფასებებს არ დაუჯეროს და მაშინ არჩევნების წაგებაზე უარეს შედეგს მიიღებს. მას დემოკრატიულ სამყაროში მეგობრები უკვე აღარ შემორჩნენ და მალე გასასვლელი გზაც აღარ დარჩება ევროპაში,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

ნაცების საყურადღებოდ!

# „ქართულმა ოცნებამ“ ხმები საპროტესტო აქციებითაც უნდა დაიცვას



**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე საარჩევნო გარემოს პრინციპულად შეცვლასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებულ წინაპირობებს მიესალმება და აცხადებს , რომ კოალიციამ საჭიროების შემთხვევაში ხმები საპროტესტო აქციებითაც უნდა დაიცვას.**

**— რა თქმა უნდა, ხმები ნებისმიერი გზით უნდა დაიცვას. ქუჩის აქციები რისთვისაა? ჩვენ უცხოელმა პოლიტიკოსებმაც გვითხრეს, რომ საქართველოში შეიძლება ეგვიპტის სცენარი განხორციელდეს. ეს იქნება დამანგრეველი ქვეყნისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც არაკონსტიტუციური იქნება. უკმაყოფილო ხალხის ქუჩაში გამოსვლა არაკონსტიტუციური არასდროს არ არის. უკმაყოფილებამდე არ უნდა მიიყვანო ხალხი,** — განუცხადა რამაზ საყვარელიძემ „ინტერპრესნიუსს“.

რაც შეეხება იმას, რომ ოპოზიციური პარტიების ნაწილმა ბიძინა ივანიშვილის წინაპირობები ულტიმატუმის ენით საუბრად და საზოგადოებაში ნიჰილიზმის დანერგვად შეაფასა, საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ეს პოზიცია ხელისუფლების ინტერესითაა ნაკარნახევი.

**— ეს ულტიმატუმი კი არა, პირობაა. ულტიმატუმიც რომ იყოს, რატომ არ შეიძლება ამ ენით საუბარი? არჩევნების გაყალბებაზე საუბარი „ვარდების რევოლუციის„ დროსაც იყო, ისე როგორც იმაზე, რომ ხმების დაცვა უნდა მომხდარიყო. ამის კარგი მაგალითი სწორედ „ვარდების რევოლუციაა“. ულტიმატუმის ენით ლაპარაკიც „ვარდების რევოლუციის“ ენა იყო — სააკაშვილი სულ საათზე იყურებოდა და იძახდა, რომ თუ ერთ საათში ესა და ეს არ მოხდება, ამას და ამას ვიზამთო. თუ ეს მაგალითები პროგრესის და დემოკრატიის ნაბიჯად ითვლება, რატომ არ ვაძლევთ იგივე შეფასებას ახლა? მით უმეტეს, რომ „ქართული ოცნება“ გაცილებით კორექტულია, ითხოვს მექანიზმების შემოტანას და არ იმუქრება, რომ თავზე დაგვამხობს ხელისუფლებას,** — აღნიშნა საყვარელიძემ.

SIC!

# ლოპოტის ხეობაში სპეცოპერაცია გრძელდება

**საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთთან, ლოპოტის ხეობაში სპეცოპერაცია გრძელდება. ამის შესახებ შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ განაცხადა.**

**— როგორც იცით, სპეცოპერაციის პირველი სტადია დამთავრებულია, თუმცა ის ჯერ კიდევ გრძელდება. იქ იმყოფებიან ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები, თუმცა დეტალებს ამ ეტაპზე ვერ გეტყვით, — აღნიშნა სალომე მახარაძემ.**

ლოპოტის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაცია 28 აგვისტოს დაიწყო.

ლოპოტის ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციის გამო, მეცხვარეები საძოვრებზე ასვლას ვერ ახერხებენ. როგორც კორესპონდენტი სოფელ ლაფანყურიდან იუწყება, დილიდან მწყემსები ლოპოტის ხეობაში მდებარე საძოვრებთან ასვლას ვერ ახერხებენ, რათა სხვა მწყემსები ჩაანაცვლონ.

ერთ-ერთმა მწყემსმა აღნიშნა, რომ ხეობის გზა პოლიციას აქვს გადაკეტილი, ვინაიდან სპეცოპერაცია მიმდინარეობს. ამის გამო კი, საძოვრებამდე მისვლას ვერ ახერხებენ.

მეცხვარეებმა დახმარებისთვის სოფელ ლაფანყურის გამგებელს მორის პარკინაშვილს მიმართეს.

სოფელ ლაფანყურის მცხოვრებლები პირად საუბრებში აცხადებდნენ, რომ ლოპოტის ხეობაში ტყვეობაში მყოფ 5 ახალგაზრდას შეიარაღებული დაჯგუფების წევრები კარგად ექცეოდნენ და ისინი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და 200 დოლარით დაასაჩუქრეს.



**ტყვეობიდან გათავისუფლებული ლევან გარაშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ის და მისი მეგობრები შეიარაღებული დაჯგუფების წევრებმა ფულით და ტანსაცმლით დაასაჩუქრეს.**

როგორც „ინტერპრესნიუსს„ ლევან გარაშვილმა განუცხადა, მსგავსი არაფერი მომხდარა.

— ტყვეობისას კარგად ვიყავით და ახლაც მშვიდად და კარგად ვართ. ის ხმები, რაც სოფელში დადის, თითქოს დაგვასაჩუქრეს, არ შეესაბამება სიმართლეს და მსგავსი არაფერი ყოფილა, — განაცხადა ლევან გარაშვილმა.

კითხვაზე, ჰქონდათ თუ არა ტყვეობიდან გათავისუფლებულებს სამართალდამცველებისგან შეზღუდვა, რომ მძევლობის პერიოდზე მედიასთან არ ესაუბრათ, ლევან გარაშვილმა კომენტარი არ გააკეთა.

— რაც შეეხება სხვა საკითხებს, არაფერზე კომენტარს არ ვაკეთებ, — განაცხადა ლევან გარაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

ზოგი ასე უბერავს!

# „ლეიბორისტები“ „სეპარატისტების“ წინააღმდეგ

**„ლეიბორისტები“ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ გეგმებში მესხეთ-ჯავახეთის გაყიდვის საფრთხეს ხედავენ.**

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ძაგანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რეგიონის დაკარგვის საფრთხე აღნიშნული პოლიტიკური ძალების წინასაარჩევნო გეგმებიდანვე ჩანს, რომლებმაც ახალქალაქის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატებად სეპარატისტები წარადგინეს.

— მმართველმა ხროვამ ახალქალაქის რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატად ამ რეგიონის საქართველოდან მოწყვეტის იდეოლოგი, სამველ პეტროსიანი წარადგინა, ხოლო კრიმინალ ოლიგარქის „ოცნებამ“ იქვე სეპარატისტულ ორგანიზაცია „ჯავახკის„ ლიდერი, ნორიკ კარაპეტიანი დაასახელა, — აცხადებს კახა ძაგანია. მან ასევე აღნიშნა, რომ „პოლიტიკური ბედნიერების“ ახალი ეტაპის დადგომას სააკაშვილი და ივანიშვილი მესხეთ-ჯავახეთის გაყიდვით აპირებენ.

„ლეიბორისტები“ ამომრჩეველს ამ გარემოების გათვალისწინებისკენ, „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ კი სეპარატისტების სიიდან ამოღებისკენ მოუწოდებენ.



საქართველოს რესპუბლიკა

ფელეტონი

# სააკაშვილის ადგილი სულ სხვა „თეატრშია“

## მარიამობის ენვერიადა – „აგვისტოს 5 დღე“-2 როგორც მოდელირებული ფარსი




**საქართველოს ერთიანი ნაცმოძური პოლიტბიურო იუწყება, რომ 28 აგვისტოს, მარიამობა დღეს, როცა მთელი ქართველი ხალხი თავის წილხვედრ ღვთისმშობელს მისი წილხვედრი ქვეყნის გადარჩენას, აყვავებას და დიადი ნაცმოძური პარტიის მზრუნველი მეთვალყურეობის ქვეშ შემდგომ გამდგრადებას და მეტ სარგებელს ევედრებოდა, ჩვენი ქვეყნის დაუძინებელმა მტრებმა, გარედან ადრე თვალებში ჩახედილი მოღალატე პუწინის, და შიგნიდან — ადრე ნდობით აღჭურვილი მილიარდერის ქურქში გახვეული ოლიგარქის ბორის ივანიშვილის, — თამადობით ისევ ვერაგად შემოუტიეს ჩამოუშლელ ქართულ სახელმწიფოებრიობას და მის სიმბოლოს — ერთიან ნაციონალურ მოძრაობას — მსხ (მეტი სარგებელი ხალხს!)!**

სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველოს მმართველმა და ბრძენმა ძალამ კიდევ უფრო განამტკიცა ქვეყნის დემოკრატიული იმიჯი, სწორედ მაშინ, როდესაც უნდა დადებულიყო ერთიანი ნაცმოძების დეპუტატთა კანდიდატების ყოვლისწამლეკი სია, სწორედ მაშინ, როდესაც უნდა ჩატარებულიყო ჰაერიდან ავია და კოსმოსური დაკვირვება 11 ქართულ ქალაქში ნაცმოძური მობილიზაციის აღლუმზე, სწორედ მაშინ, როდესაც საქართველო აუდიტის სამსახურმა ქვეყნის ბიუჯეტის მთავარი შემავსებლის და ერის ინტერესების სადარაჯოზე მდგომი ერის უპირველესი სატრაპის სტატუსი მიიღო, სწორედ მაშინ, როდესაც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მიაგნო თავის ყველაზე განმაცვიფრებელ სტატუსს — **მსხ**-ს, როდესაც ქვეყნის პარლამენტმა ახალი ნავსაყუდელი დაიდო ერის სინდისის დასაყუდებლად, და როდესაც საქართველოში უნდა ჩამოსულიყო მეათმემილიონე ტურისტი **ვგქ ვვს (ვარდს გაეფურჩქნა კოკორი — ვინმე ვლადიმერ სოკორი),** ქვეყნის მტრებმა მოსალოდნელად მოულოდნელი ლახვარი ჩასცეს ჩვენს დემოკრატიას!

მაგრამ — ნურას უკაცრავად!

მოვლენები კი ასე ვითარდებოდა: ბორის ივანიშვილთან დაახლოებულმა პირებმა: **ხარება მ.-მ, გოგია უ.-მ, ბეემვე ხ-მ, კოჭორია ჭ.-მ და კლარა ყ.-მ გაითამაშეს საკუთარი გატაცების ინსცენირება.** ეჭვი რომ არავის შეპარვოდა, ისინი გავიდნენ კახეთის ტყეებში და საეჭვოდ დიდხანს დუმდნენ. შემდეგ მათ განახორციელეს თვითგაკოჭვა (გაზპრომის აგენტის, ცნობილი ინგლისელი ილუზიონისტის დევიდ კოპერფილდის მეთოდიკით) და მოახდინეს თავისი ადგილსამყოფელის ესემესირება შსს ოპერატიული მუშაკის, მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი ენვერ ქიბროწ...-ლის მობილურზე. გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ გაეტყუებინათ ქვეყნის ყველა ქვეითთა ბრიგადები, სატანკო-მოტორიზებული კოლონები და არტილერია ლოპოტის ხეობაში, გაეშიშვლებინათ ქვეყნის ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი საზღვრები და მიეცათ გავეშებული მტრისათვის ქვეყნის ჯერგადაუცემელი ტერიტორიების დაპყრობის ფაქტობრივი შანსი!

**მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ — ნურას უკაცრავად!**

ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკურმა ლიდერშეფმა და ერის უცვლელმა მესაჭემ **(დღეგრძელი იყოს დიდი პრაპორშჩიკი!)** მყისვე გაშიფრეს მტრის ვერაგული გეგმები და კოვზი ნაცარში ჩაუგდეს (**მსხ**!ძ

კახეთის სოფელ ლაფანყურში იქნა შეყვანილი საპოლიციო ნაწილები ქვეყნის აწმთავარი პოლიციელის და ადრე — თავდაცვის მინისტრის, სწორუპოვარი ახალაიას ხაზის არქიტექტორის, ქვეყნის ახალი ხერხემლის — ბაჩანა როლანდოვიჩ ახალაიას მენეჯმენტით! პოლიციური, საციხო, უფლებადამცავი, სადისტური და თავდაცვითი უნარ-ჩვევების უზადო პროპორციამ განაპირობა ჩამოუშლელი ტაქტიკა — მტრის პიკაპური დევნის და მოწინააღმდეგეზე წერტილოვან-დეფისური საავიაციო დარტყმების კომბინირებით. ტანკების ნაცვლად შეყვანილი იქნა მფრინავი ტანკები, რომლებიც აუწერელ ზარალს აყენებენ ლაფანყურში გამაგრებულ სადივერსიო ნინძიათა რაზმეულს და მტრისგან იცავენ ლოპოტის დამსვენებლებს — თან ისე აკეთებენ ამას, რომ ჯავშანჟილეტებით აღჭურვილ სპეცნაზელებს არ ავიწყდებათ ღიმილით ნომერში საუზმედ მიართვან ნანატრი ბეკონი და ორანჯჯუსი! რაზეც ტურისტების ასევე ღიმილიან გაგებას იმსახურებენ ხურდაში **(მსტ! — მეტი სარგებელი ტურისტებს!)**

ამავდროულად კახეთის კუდი, სოდი, მოდი, წადი და **ჩფწ („ჩემს ფეხებს წავალ!“)** დანაყოფები ატარებენ საძიებო-ოპერატიულ-ენისგამხსნელ-აღიარებაამოგლეჯვით სამუშაოებს ზემოთ დასახელებულ დაკავებულებთან, რამაც უკვე გამოიღო ნაყოფი — უკვე 2-მა პირმა აღიარა ის, რაც ისედაც ვიცოდით — რომ მთელი ოპერაციის დაგეგმვა, დაფინანსება და იდეოლოგიურ-ლოგისტური მხარდაჭერა განხორციელდა ბორის ივანიშვილის მიერ და მისი პოლიტიკური ალიანსის ადამიანური რესურსების გამოყენებით! ამასვე ემსახურებოდა ბერა ივანიშვილის კონცერტები, სადაც მაყურებელს ჩუმად დაურიგებდნენ პარაშუტებს, რომლებიც გაშლის შემდეგ სატელიტურ თეფშებად გადაიქცეოდნენ **(პარაშუტულ-თეფშური მოსყიდვის მერამდენე მცდელობა!)**

საქართველოს უშიშროების საბჭოს და მისი ქორების მიერ განხორციელდა ოპერატიული გეგმა ენვერი-DDD გეგმის ამოქმედება:

საქართველოს დიპლომატიურ კორპუსს მიეცა დავალება ყველა მათ ხელთ არსებული საშუალებებით მოახდინონ მტრის დისკრედიტაცია.

**სტუდენტ გვარამიას მიეცა დავალება სასწრაფოდ დაასრულოს მუშაობა სცენარზე „ოქტომბრიდან — ოქტომბრამდე“.**

**საქართველოს უდიდეს ალპინისტ პარლამენტარს გია თორთლაძეს მიეცა დავალება შეავსოს სალუსტრაციო ცხრილი წინასწარ შეთანხმებული კანდიდატურებით.**

**ბატონ გიგა ნასარიძის ორგანიზაციას მიეცა დავალება საკუთარი და სახელმწიფო რესურსების გამოყენებით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ყოველ 10 მეტრში ჩაასონ პალოები „საქართველო არ იყიდება!“, გარდა შემდეგი ობიექტების ტერიტორიებისა: „ენგურჰესი“, „თელასი“, „მადნეული“, „თბილისის წყალი“, თბილისის რკინიგზა და საქართველოს კანცელარია.**

დაინიშნოს სამარშრუტო ხაზები ლაფანყური-გორის ჰოსპიტალი, რომელზეც მარშრუტირება განახორციელონ სასწრაფო დახმარების მიკროავტობუსებმა ჩართული სირენებით და ბანერებით — „**მსხ!**“ „**№5**“ „**მსხ!**“. ფანჯრებზე განთავსდეს სისხლიანი ხელების ანაბეჭდები! აღნიშნული ტრანსპორტით რეგიონიდან სასწრაფოდ გამოყვანილ იქნას 105 წელზე მეტი ხნის ნებისმიერი ქალბატონი და ჩატარდეს მათი გინეკოლოგიური ექსპერტიზა საჭირო მტკიცებულებების მისაღებად.

ქვეყნის ყველა სამხედრო და არასამხედრო ჰოსპიტლის სახურავზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე ხდებოდეს უწყვეტ რეჟიმში სამედიცინო თუ არასამედიცინო ვერტმფრენების აფრენა თუ დაფრენა, იქიდან შავ ნაჭერში გახვეული პარალელოპიპედის ფორმის საგნების გატანა-შემოტანით. ნებისმიერ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს ჩვეულებრივი და გამართული — „მიმართეთ პრეს-ცენტრს!“

მოხდეს საპრეზიდენტო სასახლიდან ცხრა დაბურულმინებიანი ლიმუზინის ერთდროული გამოსვლა და ქვეყნის ცხრა კუთხეში გადანაწილება მტრის კვალის დასაბნევად.

მოხდეს მეტეოსამსახურის სრული და საყოველთაო მობილიზაცია მოღრუბლული ცის უზრუნველსაყოფად.

მომზადდეს ჯაჭვი საქართველოს იმ 11 ქალაქში, სადაც უნდა ჩატარებულიყო საარჩევნო დემონსტრაციები. საქართველოს მთელს ტერიტორიას გადაეფაროს თალხი ზეწარი, **რომლის შეკერვა დაევალოს ლაურა ლაჭავას გაკოტრებულ ფირმას.**

მომზადდეს ნიადაგი საარჩევნო დამკვირვებლების სასწრაფო იძულებითი ევაკუაციისათვის. ვინც უარს განაცხადებს, ხელი მოაწერინონ განცხადებაზე, რომ შედეგებზე თავად იღებს პასუხისმგებლობას და რომ გადასვენების ხარჯების დაფარვაზე პრეტენზია არ გააჩნია!

გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა.

პრეზიდენტი გადადგეს გენერალსიმუსად და მისი ადგილსამყოფელი გასაიდუმლოვდეს ყველასათვის. საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდეს პლასტიკური ოპერაცია ყველაფრის შეცვლით (მგზნებარების გარდა!ძ.

არჩევნები გადატანილ იქნას...

სადღეისოდ მთელი საერთაშორისო მედია მხარს უჭერს საქართველოს მარადჩამოუშლელი გმირული მთავრობის თავგანწირულ ბრძოლას ურიცხვი და გათავხედებული მტრის წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ **საქართველოს გმირმა პოლკოვნიკმა მაკკეინმა უკვე გამოთქვა სურვილი უხელმძღვანელოს მოიერიშეთა ავიარაზმს.**

**ჩვენთან არს კალისტრატე!**

* * *

ეს ყველაფერი სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს.

საქართველოს მთავრობა იქცა მსოფლიო მასშტაბის კლოუნად, რომელიც კლოუნადაში ისეთ საშიშ სათამაშოებს იყენებს, როგორიცაა ვერტმფრენები, ბომბები და სამხედრო ძალა... და ნამდვილ ადამიანებს აკისრებს ჭანჭიკების და სათამაშო სამიზნეების როლს... დააკვირდით, ნაციონალური არხები ჯერჯერობით არ აქტიურობენ ამ ყველაფრის გაშუქებაში. მათ უნდათ ჯერ პანიკა დათესონ და მერე პანიკით მოცული ხალხი ანახონ საქართველოსაც და მსოფლიოსაც!.. ძალიან დიდია ფსონი... ძალიან ბევრს კარგავდნენ აქამდე, ხოლო ახლა, თუ მათ თამაშს არ ავყვებით და მსოფლიო კიდევ ერთხელ დაინახავს რა მასშტაბის „ორსონ უელსთან“ აქვს საქმე, ბევრს კი არა, ყველაფერს დაკარგავს, ვინძლო პლასტიკურმა ოპერაციამაც აღარ უშველოს! ამიტომაა, რომ მათ სპექტაკლში ჩაბმული სტატისტებიც ძალიან ნერვიულობენ და სახეებს მალავენ! იციან, რომ გიჟის პროვოკაციაში მონაწილეობა ძალიან სახიფათოა, იმის გარანტიაც არ გაქვს, რომ გადარჩები და არ გაგასაღებენ, როგორც თანამზრახველს, რომელმაც ზედმეტად ბევრი იცის და არც იმით, თავს სხვისი სიგიჟით გაიმართლებ — ხომ გეტყვიან, კი მაგრამ შენც გიჟი ხომ არ იყავიო?!

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ აქამდე მკაცრ იზოლაციაში ჰყავთ ის პირები, რომელთა „განსათავისუფლებლად“ დაიწყო ვითომ ეს გიგანტური სპეცოპერაცია! მათ არავისთან არ აკონტაქტებენ! სავარაუდოდ, მათზე ზეწოლა მიდის, რომ რაღაც მაკომპრომეტირებელი მასალა მოიპოვონ „ქართული ოცნების“ ლიდერებზე. ასევე უცნაურია, რომ არ გვაჩვენებენ დაჭრილებს. ვრცელდება ინფორმაციები, რომ სადღაც მიიყვანეს დაჭრილები, მაგრამ ექიმები ამის შესახებ ჟურნალისტებისგან იგებენ... **ხურჩის დროსაც „დაიჭრა“ ერთი ქალი, რომელიც კვნესოდა და მეგრულად იძახდა, რა ვიცოდი, თუ მართლა დავიჭრებოდი, რატომ არაფერი მითხარითო!“**

**მართალი გითხრათ, რაღაც მსგავს მოდელირებას ველოდი, თუმცა, არა ასე მასშტაბურს, და თანაც — უფრო ზუგდიდთან. არაა გამორიცხული, ეს გენერალური რეპეტიცია აღმოჩნდეს და მთავარი სპექტაკლი მაინც სამეგრელოში დადგან. განმუხური და ხურჩა ძალიან კარგად „გამოუვიდათ“...**

განმუხური... ხურჩა... ლაფანყური... „7 ნოემბრის გადატრიალების მცდელობა“... პატარკაციშვილის „შეთქმულება“... „მუხროვანის ბუნტი“... „მოდელირებული ქრონიკა“... კოჭოიები... ენვერები... ბომბებიანი ტუშონკები... „იმედის“ განადგურების მცდელობები... ამერიკის საელჩოს აფეთქებები... კოჭოიები... კოჭოიები... რამპა... ცუმპა... რამპა...

**ნუთუ განვითარებული მსოფლიო ახლაც ვერ ხედავს, რომ მიხეილ სააკაშვილის ადგილი სულ სხვა „თეატრშია“?**

**სოლომონ თერნალი.**

For.ge

# ჩაი არა, სამსალა ყოფილა!..



ბუნების წესია: კაცი იმისთვის ილ-ვწის, იმისთვის იდგამს წელებზე ფეხს, რომ შვილებსა და შვილიშვილებს რაც შეიძლება მეტი და უკეთესი დაუტოვოს, რომ შემდგომ ჩვენს შთამომავლობას უკან რჩეს კვალი განათლებული.

მაგრამ ეს ჩვენი ნაციონალური ხელისუფლება და მისი პრიმასი, ნურას უკაცრავად, ასე არ ფიქრობენ.

ბოლოს და ბოლოს, ბარათაშვილი სულაც არ არის მათი საყვარელი პოეტი კაკალაშვილი, ზეპირად რომ იცოდნენ.

უკვე არაერთგზის გაახმოვანა ნაცმოძრაობის და პირადად თავისი წინასაარჩევნო სლოგანი ბატონმა პრეზიდენტმა: „ეგლა გვაკლია, ჩვენი აშენებული და გაკეთებული ამათ დავუტოვოთ!“

აქ უმალ – გულუბრყვილო კითხვა: ვინ „ამათზე“ და „ისინი“-ზეა ლაპარაკი?

ვინმე გერმანელებზე, მურმან ყრუებზე, ჯალალედინებზე, შაჰ აბასებზე?

არა, კაცო – ოპოზიციაზე, რომელიც დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებისთვის არა მხოლოდ პოლიტიკური მოწინააღმდეგეა, არამედ მოსისხლე, რომელმაც სახლ-კარი აგიოხრა, ცოლშვილი გაგიბახა...

მაგალითად, ისეთი, როგორიც თუნდაც ვახტანგ ხმალაძეა – შენიღბული ტერორისტ-კონსტიტუციონალისტი!

„ისინიო“...

ანუ იუდას მონაგრებიო, სამშობლოს სიგლახისთვის თვალებამოღამებულნიო. უკან უნდათ დააბრუნონ ისტორია, კვლავ გუშინდელი დღე გაგვითენონო...

ჯერჯერობით ერთი აკლიათ – პირდაპირ ერეკლესავით დასჭყივლონ „ჰა მაგა წუნკლებსაო“. ისიც იმიტომ, რომ „წუნკლებიც“ უხვად არიან, ეს ერეკლეური შეიძლება სათავისოდ გაიგონ და შენ მერე ნახე ჰაჯი ჩალაბთან მეორე ომიო.

ისინიო...

მაინც ვინაო, მამულიშვილნო, ვინ შენავსაყუდრებულა დაშიფრულ ნაცვალსახელში?

ეს ისინი არიან, „რუსული ფულით რომ მოდიან და თუ მოვლენ, თავიანთ სამინისტროებს კორუფციის ბუდედ აქცევენ, ქვეყანას რუსთა მონობაში დააბრუნებენ და სულს ამოხდიან საკუთარი კეთილდღეობისთვის“.

აი ასე, არც მეტი, არც ნაკლები!

მერედა ვინ წინასწარმეტყველებს ამას? – ნაციონალური მოძრაობა, რომელიც 8 წელიწადია ქვეყნის საჭეს ეჯაჯგურება და კიდევ 4 წლისთვის იზომებს ჩოხას, არადა, როგორც ნავიგაციაში გარკვეულნი ვარაუდობენ, ქვეყანა-გემი დანდობილად მიჰყავს მეჩეჩისკენ.

**ახალი ბათუმი თავზე წამოყუდებული 40-სართულიანი ტექნიკური უნივერსიტეტით (35-ეზე ეშმაკის ბორბლით და 36-ეზე ერთმანეთში ამავალ-გამავალი სასადილო-ბიბლიოთეკით) და ტალიკ-ტალიკა სასტუმროებით, სადაც ერთი ღამის გათევას ჩვენი ჯიბეგახვრეტილი მოქალაქე მხოლოდ მთელი თვის მარხულობით თუ შეძლებს, შენი აღარ არის, ჩემო გუდამშიერო ძმაო, ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხიდან (უმეტესად, ალბათ, თურქეთიდან ან სომხეთიდან) ჩასული ფულიანი დამსვენებლისაა (თუ ჩავიდა!). ბათუმი საბოლოოდ იქცა მოძრავ მუსიკალურ სცენად.**

* * *

ისე, კაცმა რომ თქვას, ბრალდებებით, არც ადრესატი – ქართული ოცნება აკლებს ხელს, ოღონდ იმათი ბრალდებების უმრავლესობა, როგორც ერთ დროს თბილისში იტყოდნენ, ფაისალია, მეორეც – ხელისუფლებას მეტი თავშეკავება, მეტი წონასწორობა მართებს.

როცა პრეზიდენტი, ყოველ ცისმარე თავის საყვარელ ტრიბუნაზე ამხედრდება, ძნელია იმისი სიმართლე იწამო, რადგან ფაქტოლოგიას ძირი აქვს მიმწვარი.

მთელი 20 წელიწადი „თავისუფალ, დემოკრატიულ“ საქართველოში ცხოვრების შემდეგ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ვერც აზრის თავისუფლება და ვერც დემოკრატია.

ჩვენში მყარად არის დამკვიდრებული „აქსიომა“: პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, ანუ კაცს, რომელიც შენსავით არ ფიქრობს, ვარდოსანთა ხელისუფლება ღვთივ არის მოვლენილიო, ანუ თუ პრეზიდენტმა ყოველდღე არ შეგასრულებინა ნამაზი და გოკა გაბაშვილმა თვალები არ გიკარკლა ტელეეკრანიდან, უჩვენოდ ქვეყანა დიაღუპებაო, ქვა და გუნდა უნდა ესროლო! ეს არის ჩვენი პარლამენტარიზმისა და სახელმწიფოებრიობის ანი და ჰოე.

თუმცა, როდის უნდა გვესწავლა პარლამენტარიზმი და სახელმწიფოს შენება!?

თუ მაინცდამაინც თავს არ მოვიტყუებთ და თამარის „დარბაზში“ პარლამენტის ჩანასახს არ დავინახავთ, მთელი 3500 წლის (?ძ მანძილზე მსგავსი არაფერი გვქონია. არც XX საუკუნის ათიანი წლების მიწურულის ფაქტობრივად ერთპარტიული – სოციალ-დემოკრატიული პარლამენტი გამოდგება ბრძენ მასწავლებლად.

1990-იანი წლები იყო და სანამ ზვიად გამსახურდიას ბანი არ დავამხეთ თავზე, არ მოვისვენეთ.

შევარდნაძე იყო და პარლამენტიდან ისე გამოვაძევეთ, ვაიმე, დაღლილ პრეზიდენტს ჩაიც არ დავალევინეთ...

ჰოდა ბატონ სააკაშვილს რატომ უკვირს ახლა, რომ მასაც ისევე უპირებენ კინწისკვრით გაგდებას, როგორც 8 წლის წინათ თვითონ გააყვანინა თავისი წინამორბედი პარლამენტის დარბაზიდან, როცა ჯერ „გადადექი, გადადექიო“ ყელზე დაადგა ცივი მჭადივით და მერე მის ჩაის ისე დააცხრა, თითქოს სიბრძნის წყარო ყოფილიყოს. **მეტი არ აუდგა გვერდები – სამსალა გამოდგა!**

**ძველი სიბრძნეა: არ მოექცე სხვას ისე, როგორც არ გინდა, რომ შენ მოგექცნენ.**

დიახ, როდის უნდა გვესწავლა?

ოცი წელიწადი სამოქალაქო, „რეგიონული“ თუ რუსეთთან სრულმასშტაბიანი ომები არ დაგვიკლია SIC! – საქართველო ყოველთვის დამარცხდა! ოღონდ ვერ ვისწავლეთ, თუ რატომ დამარცხდა.

რუსი თბილისიდან 40 კილომეტრში ზის იარაღით კბილებამდე აჯაგრული და მაინც ვიჭაჭებით, მოვუგეთო. თანაც რა დიდებულად ხსნის ამ „გამარჯვებას“ თვით პრეზიდენტი: რუსეთის მიზანი საქართველოს ხელისუფლების დამხობა და საქართველოს პრეზიდენტის გენიტალიებით ჩამოკიდება იყოო. მაგრამ, ნურას უკაცრავადო! ყვ...გლეჯია ოკუპანტმა ამ საშვილიშვილო მიზანს ვერ მიაღწია, ყველაფერი უვნებლად შემრჩაო.

ბედი არ გინდა! მტერს მოგებაც ხელიდან გამოაცალა და საფიცარი რეპროდუქციული ორგანოც არ ჩაამარყუჟებინა!

ვერ ვისწავლეთ და ყეფას ლოცვა დავარქვით, ურთიერთის წუნწუხით გაწუწვას – კამათი, ჩასაფრებას, ყელში წაჭერას, საერთოდ, არაკაცობას – სამართლიანობისთვის ბრძოლა.

* * *

კაცობრიობის დიდი იურიდიული აღმოჩენა – უდანაშაულობის პრეზუმფცია ბოროტებად და უზნეობად გამოცხადდა.

როგორც კი ქვეყნის პირველი პირი ტრიბუნა-ამბიონიდან ნიშნისმოგებით იტყვის – ნურას უკაცრავადო, ჩათვალე, რომ რომელიმე სათვალიო კაცის მიერ სამშობლოს თხასავით გაყიდვის ამბავი უნდა გვახაროს.

ქართული ოცნების ლიდერი რუსული ფულით არის გაჯეჯილებული, ამიტომ, ბუნებრივია(?!ძ, რუსეთის კაციაო, აალავლავეს დიდი და პატარა.

**რუსეთში ფულის შოვნა რატომ არის რუსეთის კაცობა, ვითომ?**

**ამ პრინციპით საქართველოს მოსახლეობის ნახევარი „რუსეთის კაცი“ ყოფილა, რაკილა ჩრდილოეთში საშოვარზე გახვეტილი მშობლების, შვილებისა თუ ქმრების გამოგზავნილი „რუსული ფულით“ უდგას სული.**

**ან „თურქეთისა“ თუ „საბერძნეთის კაცებს“ რატომ არ ითვლიან, რომლებიც თავიანთი ცოლების მიერ იქაური ბერიკაცებისა და დედაბრების უკანალების ბანვა-წმენდაში ნაშოვნ გროშებს სულის კაწკაწით ელიან თვიდან თვემდე.**

ან რატომ არის ბენდუქიძის თუ ბეჟუაშვილის სწორედ რუსეთში ნაშოვნი ფული ან ჩვენი ჩაუქი ბიზნესკრიმინალების მოხვეჭილი ნავთობდილერები მაინცდამაინც თავანკარა?

ან სასიცოცხლო ობიექტების სწორედ იმ საძულველი რუსეთისთვის მიყიდვით შევსებული სახელმწიფო თუ პირადი ბიუჯეტები?

ახლა სხვა „არაარსებითი“: რატომ იწვევს პრეზიდენტის თვითკმაყოფილ კისკისს „მიშა, მიშას“ დისკანტით ძახილი და ოლიმპიადის პრიზიორის მოულოდნელი „აღიარება“ – **ლონდონში სამშობლოსა და შენთვის ვიბრძოდითო,** დაახლოებით ისე, „სამშობლოსთვის, სტალინისათვისო“, ტანკებს ხელყუმბარებით რომ უცვივდებოდნენ.

ვინ და რატომ ჩააწოდა ეს ზეგარდმო აზრი ხალიჩის გმირს და რატომ იღებს ამ თვითშეწირვას ჩვენი მორიდებული პრეზიდენტი ასე დამსახურებულად და მოწყალედ, ან რას უნდა ველოდეთ შემდეგში?

* * *

ამ წინასაარჩევნო მარათონში პრეზიდენტმა ამომრჩევლის მოზიდვის მარტივ და უტყუარ ხერხს მიაგნო: ნებისმიერ ქალაქსა და სოფელში გამოსვლისას აუცილებლად დააყოლებს ხოლმე, **ეს ყველაზე მაგარი ქალაქია (სოფელია) საქართველოშიო.** ხანდახან საქართველოს არც ახსენებს და თავისთავად გამოდის, რომ ეს ყველაზე მაგარი დასახლებული პუნქტია დედამიწის ზურგზე.

**ასე მიაღწიეს რიგრიგობით „უმაგრესის“ დონეს ბათუმმა, ფოთმა, გორმა, რუსთავმა, ახალციხემ, ბეშუმმა, კარალეთმა, მომავალის ქალაქებმა ანაკლიამ, ლაზიკამ...**

თითქოს უბრალო რამ არის, მაგრამ რა უხვად იმკის „მაგარი ქალაქების“ უმრწემესი მოსახლეობის „მიშა, მიშას!“ და ხანდაზმული ქალბატონების ლადარა კოცნას!

პრეზიდენტი გვაიმედებს: ჩვენ კიდევ მრავალი წელი ავაშენებთ ამ ქვეყანასო, მაცალეთ კიდევ 2-3-4 წელი და მე ვიციო...

რვა წელიწადი სულ დაპირებებით გვკვებავს.

**რამდენი უკბილო დედაბერი და ბერიკაცი ამაოდ ელოდება დაპირებულ კბილებს!**

**რამდენი კბილებიანი კაცი და ქალი ამაოდ ელოდება საკბილოს!**

* * *

ცათამბჯენების ამერიკა ფაქტობრივად ერთსართულიანია. ცათამბჯენებიანი მხოლოდ რამდენიმეა შეერთებული შტატების მირიად ქალაქს შორის: ნიუ იორკი, ჩიკაგო, სიეტლი, სან დიეგო, ერთი-ორი-სამი კიდევ და მორჩა. დანარჩენი ძირითადად ერთ და ორსართულიანია, ტყუპისცალებივით ჰგვანან და კიდეც განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ჯერ კიდევ როდის, თითქოს საუკუნის წინათ დაწერეს ილფმა და პეტროვმა „ერთსართულიანი ამერიკა“. მას შემდეგ ამ კონტინენტის სილუეტი არ შეცვლილა.

ამერიკელებმა იციან: თუ პაწაწინა ჰანიბალში ან სანკტ-პეტერბურგში 40-სართულიან შენობებს ააგებენ, ის ქალაქი ჰანიბალი ან სანკტ-პეტერბურგი აღარ იქნება და ამით ბევრ რამეს დაკარგავს. ტრადიციას კი, რასაც, რაგინდ გასაკვირიც იყოს, ამერიკელები საგულდაგულოდ უფრთხილდებიან.

გვიფიქრია რატომ არ აშენებენ ცათამბჯენებს ნიცაში?

ჩვენს ორსართულიან ბათუმს ქათქათას ჰქონდა განუმეორებელი ხიბლი, სითბო და სილაღე, რითაც სტუმრისთვისაც კი მშობლიური, ახლობლური იყო, მის ქუჩებში ქესატი ჯიბის პატრონი დამსვენებელიც კი პიროვნებად გრძნობდა თავს და არა უცხო მხარეში დროებით მოხვედრილ ზედმეტ კაცად.

ახალი ბათუმი თავზე წამოყუდებული 40-სართულიანი ტექნიკური უნივერსიტეტით (35-ეზე ეშმაკის ბორბლით და 36-ეზე ერთმანეთში ამავალ-გამავალი სასადილო-ბიბლიოთეკით, და ტალიკ-ტალიკა სასტუმროებით) სადაც ერთი ღამის გათევას ჩვენი ჯიბეგახვრეტილი მოქალაქე მხოლოდ მთელი თვის მარხულობით თუ შეძლებს,

შენი აღარ არის, ჩემო გუდამშიერო ძმაო, ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხიდან (უმეტესად, ალბათ, თურქეთიდან ან სომხეთიდან) ჩასული ფულიანი დამსვენებლისაა (თუ ჩავიდა!). ბათუმი საბოლოოდ იქცა მოძრავ მუსიკალურ სცენად.

*   *   *

რიგში ახალციხეა. თურმე აქ იჯდა როსტევანი... „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი“... შემდეგი სტრიქონი დაავიწყდა პრეზიდენტს, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და თავისი პოეტური გუმანის შესაბამისად დაასრულა: – ის იყო ფარხმალიანი და დიდად ენაწყლიანიო. თუ რაღაც ამის მსგავსი.

**ეგ არაფერი, შეიძლება კაცს ლექსი დაგავიწყდეს (ისე, თუ თავის იმედი არ გაქვს, რა გრჯის!), მაგრამ კონტექსტი იყო ძალზე საინტერესო: ვერავინ გაიგო, რა კავშირშია არაბეთში მჯდომი როსტევანი ახალციხესთან.**

ის კი გადაჭრით გვითხრა, ნესტან-დარეჯანი ამ ციხეში ნაღდად არ ჰყოლიათ დატყვევებულიო.

ანუ, ამ ციხეს ჩვენი ისტორიული მეგობარი თურქები ფლობდნენ, ისინი ხომ არ ხელყოფდნენ ნესტან-დარეჯანის თავისუფლებასო. მართლაც, განა ოდესმე გაუტაციათ რომელიმე ნესტანი, დარეჯანი, თინათინი, ნინო, თამარი თუ ქეთევანი, ან ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, გიორგი, როსტომი თუ შოთე და სტამბოლის გზისთვის გაუყენებიათო?

**ხელისუფლებას, ალბათ, არასდროს ისე არ გაუმწვავებია წინასაარჩევნო ვითარება, როგორც ამჟამად. გამოყენებულია ყველა მარჯვე უკანონო საშუალება – პოლიტიკური მოწინააღმდეგის ქონების პირდაპირი დაყაჩაღება, ათობით მილიონი (!) ლარით დაჯარიმება, წართმევა-აუქციონები. ტელევიზორის ჩართვა საშიში გახდა. სამი ტელეარხი მაყურებელს ნიაღვარივით ათქრიალებს სიცრუეს, ჭორს, ბეზღს „მოწინააღმდეგეზე“.**

გაშლილად მიმდინარეობს ტვინების გამორეცხვა, ახალი მტრის ხატის დასახვა და წაქეზება. ანაკლიაში ამას წინათ პრეზიდენტმა ახალგაზრდებს მიმართა: **ხელიდან არ გაუშვათ თქვენი პირადი შანსი, მონაწილეობა მიიღოთ ქვეყნის ბედ-იღბლის გადაწყვეტაშიო, ქვეყნის მომავალი არ დაუთმოთ სხვა პოლიტიკურ ძალასო.**

ესე იგი ნაციონალური მოძრაობის გარდა ყველა დანარჩენი პოლიტიკური ძალა **სხვა** და **მტრულია,** რომელსაც არამც და არამც არ უნდა ჩაუგდო ხელში ქვეყნის მომავალი, თორემ ქვეყანა დაიღუპება. ისე არ მოგვივიდეს, როგორც 70 წლის წინათ (?!) მოხდა, როცა მთელმა ხალხმა, ქუდზე კაცმა არ მიიღო მონაწილეობა სამშობლოს ბედის გადაწყვეტაში, რის შედეგადაც ქვეყნის განვითარება ათწლეულობის მანძილზე შეწყდა.

რას გულისხმობდა პრეზიდენტი იმ „70 წლის წინათ“ მომხდარ მოვლენაში? ალბათ ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებას რუსულ სამხედრო ძალაზე დაყრდნობით **90 წლის** წინათ!

ამრიგად 2012 წლის არჩევნებში „სხვა პოლიტიკური ძალის“ შესაძლო გამარჯვება 1921 წლის ავბედით მოვლენასთან იგივდება. და ყველა, როგორც ერთი, უნდა დაირაზმოს, რათა ეს არ მოხდეს, რათა ხელახლა არ დაიღუპოს ქვეყანა.

ხელისუფლებას, ალბათ, არასდროს ისე არ გაუმწვავებია წინასაარჩევნო ვითარება, როგორც ამჟამად. გამოყენებულია ყველა მარჯვე უკანონო საშუალება – პოლიტიკური მოწინააღმდეგის ქონების პირდაპირი დაყაჩაღება, ათობით მილიონი (!) ლარით დაჯარიმება, წართმევა-აუქციონები.

ტელევიზორის ჩართვა საშიში გახდა. სამი ტელეარხი მაყურებელს ნიაღვარივით ათქრიალებს სიცრუეს, ჭორს, ბეზღს „მოწინააღმდეგეზე“.

*   *   *

დაბოლოს ყოველდღე ბობოქრობს პრეზიდენტი. წარმოთქვამს მგზნებარე სიტყვებს, რომელთა ნახევარი ათასგზის თქმული, უიმედოდ გაცვეთილია, მეორე ნახევარი კი წყევლა-კრულვაა ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიმართ, რომლის გვარსაც ის უმრავლეს შემთხვევაში ჯიუტად არ ასახელებს.

აშკარად ჩანს, რომ იგი შეშინებულია. ნაცების დამარცხების აჩრდილი დადის საქართველოში. როგორც ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო მოწოდებები და ვარაუდები გვაკვალიანებს, შეიძლება ისეთი ამბავი ატყდეს, როგორც იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანს **(ლაფანყურის ომიც, რომელშიც ზოგი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, ბევრ რამეზე მიგვანიშნებს).** ჯაბა იოსელიანის ფრთიანი გამოთქმისა არ იყოს, მართლაც უპრიანი იქნება, ვინც გადავრჩებით (თუ გადავრჩებით) ჯგუფური სურათი გადავიღოთ სამახსოვროდ.

საკითხი ასე დგას: თუ ნაცები მესამედ გაიმარჯვებენ, საქართველო სულ უფრო დაჰკარგავს თავის ეროვნული იერს და დაემსგავსება ჰონკონგს, გაღრმავდება ქვეყნის სილნალიზაცია, ანუ ტურისტებზე გათვლილი (რომელთა ლეგიონები ჯიუტად არ ჩანან!) უფუნქციო, ხელოვნური მოდერნიზება, რომლისგანაც არც გცივა და არც გცხელა, მით უფრო, თუ იმ „მოდერნიზებული“ ქალაქის მკვიდრი არ ხარ.

სულ ახლახან – წინასაარჩევნოდ აღსრულდა დიადი მიზანი: მწყობრში ჩადგა ანაკლიის ყველაზე ნაციონალური, მსოფლიოში ყველაზე დიდი, ყველაზე ლამაზი და ტექნიკურად სასწაული აკვაპარკი, რათა კიდევ ერთი მძლავრი ტალღა შემატოს ისედაც უმძლავრეს ტურისტულ ნაკადს და საქართველომ ყველას გაუსწროს დედამიწის ყოველ ათას სულ მოსახლეზე ტურისტთა საშუალო რაოდენობით.

თუმცა მხოლოდ ეს ორი მთავარი საარჩევნო სუბიექტი – ნაცმოძრაობა და ქართული ოცნება როდი გამოირჩევა წინასაარჩევნო სიურპრიზებით.

ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერი, რომლისთვისაც საქართველოს მტერი მისი პირადი მტერია, ისეთი ენდი გარსიასეული ეკრანული გმირის (იხილეთ ფილმი „8 აგვისტო“) მგზნებარებით აცნობს ამომრჩევლებს თავისი პარტიის პროგრამას, გინდა ეგრევე, ტრუსებიანი წამოხტე, რომ წარუძღვე წინა ერსა. ძდპ სამართლიანი ტარიფებითაც გვხიბლავს...

ლეიბორისტებმა, რომელთა რეიტინგი ზოგიერთ მალემრწმენს უიმედოდ დაცემული ჰგონია ნულს ქვემოთ, ისეთი სლოგანი აჯახეს ამ გაფაციცებულ ამომრჩეველს, არსენა ოძელაშვილის შემდეგ რომ არავის მოსვლია აზრად: მდიდრებს წავართმევთ, ღარიბებს მივცემთ, ღმერთი როგორ წაგვახდენსაო.

როგორც ვხედავთ, კიდევ ერთხელ ამოხეთქა მდიდრებისადმი ღარიბთა საუკუნეობრივმა სიძულვილმა, და ამ დროს ივიწყებენ ისტორიულ გამოცდილებას, რომ მდიდრის გაძარცვა და ნაძარცვის ღარიბთათვის გადანაწილება მხოლოდ პროპაგანდისტული ხერხია, თორემ ეს გადანაწილება, როგორც წესი, ბლეფია, თანაც, ლატაკი, რომელიც მდიდრის ქონებას მოიხელთებს, იმ მდიდარზე სასტიკი წურბელა ხდება!

ამრიგად, ოძელაშვილისტი ლეიბორისტები კვლავ გაკვალული გზით – ექსპროპრიაციით აპირებენ დამკვიდრებას და საზოგადოებაში სოციალური უსამართლობის აღმოფხვრას.

ასეთი უიმედოდ იმედიანი სხვაც ბევრია.

ჩვენი საარჩევნო აჯაფსანდალი თუხთუხებს და შიშინებს. დასასრულამდე ბევრი აღარაფერი დარჩა. მთავარია, ქვაბმა ხუფი არ მოიგლიჯოს ან ხრაკის სუნი არ ავარდეს.

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ იაპონია-საქართველო



# „სტალაგმიტი ჯუნკო“ – ქართველი და იაპონელი ხალხების მეგობრობის სიმბოლო

**საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბატონი მასაიოში კამოჰარას მეუღლე ჯუნკო კამოჰარა ისტორიაში შევიდა – ქართველმა სპელეოლოგებმა, ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანის თაოსნობით, წყალტუბოს მღვიმის ერთ-ერთ დარბაზში აღმართულ ულამაზეს სტალაგმიტს, პირველაღმომჩენის უფლებით, სტალაგმიტი ჯუნკო უწოდეს.**

**ეს მოვლენა იაპონიის ელჩის რეზიდენციაში საგანგებოდ აღინიშნა.**

საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტმა, ბატონმა კარლო ქველაძემ ყურადღება გაამახვილა იაპონიის საელჩოს კეთილ საქმეებზე საქართველოში, კონკრეტულად კი – ელჩის მეუღლის, ქალბატონის ჯუნკო კამოჰარას პიროვნებაზე, ვინც იაპონიის საელჩოს ინიციატივით გამართული სხვადასხვა ღონისძიების დროს, იმის მიუხედავად, რომ ელჩის მეუღლეა, არ თაკილობდა და მაყურებლებს თუ მსმენელებს საკუთარი ხელით მიართმევდა ჩაის. **„ეს გამოხატავდა იაპონელი ხალხის თავმდაბლობას და დიდ პატივისცემას სტუმრის მიმართ“,** – აღნიშნა ბატონმა კარლომ. ერთ მშვენიერ დღეს კი, როდესაც იაპონიის ელჩი, ბატონი მასაიოში კამოჰარა დაინტერესდა ოტია იოსელიანის წიგნით „დაჩის ზღაპრები“ და თანხმობა განაცხადა წყალტუბოში მწერლის გარემო გაეცნო, სწორედ იქ შეხვდა წყალტუბოს მღვიმის პირველაღმომჩენს, ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანს.



**„სტალაგმიტი ჯუნკო“.**

**„სხვათა შორის, ბატონი ოტიას წიგნები მსოფლიოს 30 ენაზეა თარგმნილი და 7-მილიონიანი ტირაჟით გამოიცა, – გვითხრა ჯუმბერ ჯიშკარიანმა, – ბატონმა ოტიამ იმ დღეს ბრძანა, რომ „დაჩის ზღაპრები“ რუსულიდან არასრულად ითარგმნა. ბატონმა ელჩმა კი აღნიშნა, რომ დღეს უკვე კომუნიკაციები იმდენად განვითარდა, რომ იაპონიაში ქართული ენის მცოდნე ხალხიც ჰყავთ. შესაძლოა „დაჩის ზღაპრები“ პირდაპირ ქართულიდანაც ითარგმნოსო. შემდეგ წყალტუბოს მღვიმე დავათვალიერეთ. ჩემთვის ძვირფასი იყო ის, რომ ბატონი ოტიას სახლში ტრაპეზის დასრულების შემდეგ ქალბატონმა ჯუნკომ ქართულად წარმოთქვა სამადლობელი. დიდებული ქვეყნის დიდებულმა შვილმა ჩემი ენისადმი დიდი პატივისცემა გამოხატა და მის მიმართ მადლიერებით აღვივსე. ისედაც ვიცოდი ქალბატონი ჯუნკოს და ბატონი ელჩის არაერთი კეთილი საქმის შესახებ. ამიტომ მსურდა რაღაცით მადლიერება გამომეხატა ამ დიდებული ქვეყნისადმი. წყალტუბოს მღვიმეში, დავით აღმაშენებლის დარბაზში ულამაზესი სტალაგმიტი დგას. ჩემს მეგობრებთან შეთანხმებით, გადავწყვიტე ამიერიდან მას ეწოდოს „სტალაგმიტი ჯუნკო.“ ამ ქვეყანაზე მუდმივი არაფერია. გავა დრო და, აღარ ვიქნებით, მაგრამ ბუნების ძეგლი, ეს სტალაგმიტი მუდმივად დარჩება. ბატონი კამოჰარას მიერ საქართველოში გაკეთებული კეთილი საქმეები გაგრძელდება იმით, რომ ამ ულამაზეს სტალაგმიტს მუდმივად მისი მეუღლის სახელი ერქმევა,“** – აღნიშნა ბატონმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა.

იმ დღეს ბატონ მასაიოში კამოჰარას ამ ფაქტის დამადასტურებელი საპატიო დიპლომი გადაეცა – ქართველ და იაპონელ ხალხებს შორის კულტურულ ურთიერთობაში გაწეული ღვაწლისთვის და იაპონელი ხალხისადმი პატივისცემის ნიშნად, ხოლო ქალბატონ ჯუნკო კამოჰარას ბატონმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა გადასცა „სტალაგმიტ ჯუნკოს“ ფოტოსურათი. ბატონმა ჯუმბერმა იაპონიის ელჩს გადასცა, აგრეთვე, ამერიკაში მცხოვრები ცნობილი მხატვრის ცისანა ჯანაშვილის მიერ შესრულებული ოტია იოსელიანის პორტრეტი.

ბატონმა ივანე ჯაფარიძემ, – მთამსვლელ ჯაფარიძეთა ოჯახის ღირსეულმა მემკვიდრემ, – მიულოცა ქალბატონ ჯუნკო კამოჰარას ეს შესანიშნავი დღე და დასძინა: **„იშვიათია, რომ ბუნების ძეგლს პიროვნების სახელი მიეკუთვნოს. რა დროც არ უნდა გავიდეს, ქალბატონი ჯუნკოს სახელი განუყოფელი იქნება საქართველოსაგან. იაპონია ჩემთვის ძვირფასი და მნიშვნელოვანია არა მარტო იმით, რომ აქ მისი შესანიშნავი წარმომადგენლები წლების მანძილზე ცხოვრობდნენ, არამედ იმითაც, რომ მსოფლიოში პირველი ქალი, ვინც დედამიწის „სახურავზე“ – ევერესტზე შედგა ფეხი და იაპონელთა ამაყი სული აიტანა მასზე, იაპონელი ქალბატონი ჯუნკო ტაბეი გახლდათ, რომლის მიმართ უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მაქვს.“**

ბატონმა ივანე ჯაფარიძემ იაპონიის ელჩს თავისი წიგნი „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“ უსახსოვრა წარწერით: **„იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, მის აღმატებულება ბატონ მასაიოში კამოჰარას და მის შესანიშნავ მეუღლეს, ქალბატონ ჯუნკო კამოჰარას, იაპონია-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავება-განმტკიცებისათვის. უდიდესი მადლიერებითა და პატივისცემით ავტორისაგან.“** ეს წიგნი ბატონმა ივანე ჯაფარიძემ გაუგზავნა, აგრეთვე – პირველ იაპონელ მთამსვლელ ქალს, ქალბატონ ჯუნკო ტაბეის. მასვე უსახსოვრა პირველი ქართველი მთამსვლელი ქალის – ალექსანდრა ჯაფარიძის ფოტო, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს იაპონელ და ქართველ მთამსვლელთა შორის უწყვეტ სულიერ კავშირს.

**დასასრულ, ქალბატონმა ჯუნკო კამოჰარამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს ამ დიდი დაფასებისთვის და დასძინა, რომ მართალია მეუღლესთან ერთად საქართველოდან მალე მიემგზავრება, ელჩობის ვადის ამოწურვის გამო, მაგრამ იგი არასოდეს დაივიწყებს საქართველოს და ქართველ ხალხს.**

**თამარ შაიშმელაშვილი.**

**სურათზე:** ნათია ნაცვლიშვილი (თარჯიმანი), ჯუნკო კამოჰარა, კარლო ქველაძე, ჯუმბერ ჯიშკარიანი.

ივანე ხაფარიძისა და გოგი ჩანადირის ფოტო

№167. შაბათი, 1 სექტემბერი, 2012 წელი.

## ბოროდინოს ბრძოლის 200 წლისთავისთვის

**1812 წლის სამამულო ომი... მოვლენა, რომლის რეალიების შესახებაც დღემდე დავობენ ისტორიკოსები, დაწერილია ასობით წიგნი, გადაღებულია რამდენიმე კინოფილმი. 24 ივნისს დაიწყო ნაპოლეონის საბედისწერო ლაშქრობა რუსეთში. ფრანგი იმპერატორის 610-ათასიანი „დიდი არმია“, რომელმაც თითქმის მთელი ევროპა იგდო ხელთ, მთელი ძალით დაესხა თავს რუსეთს. მთელი ევროპა, მთელი მსოფლიო სუნთქვაშეკრული, დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს გიგანტების ომს, რომელიც რუსეთის უნაპირო სივრცეებში გაიშალა.**

**რუსეთ-საფრანგეთის ომის კულმინაციად იქცა ისტორიული ბოროდინოს ბრძოლა, რომელიც ზუსტად 200 წლის წინათ – 1812 წლის 26 აგვისტოს, ორშაბათს, დილის 5 საათზე დაიწყო და გაგრძელდა შეუსვენებლივ 12 და მეტ საათს. ეს იყო ყველაზე გააფთრებული, ყველაზე სისხლისმღვრელი ომი, რაც კი ცნობილი იყო იმ დროისთვის. ბოროდინოს ბრძოლის სიმკაცრის ხარისხის შესახებ მოწმობს მისი შედეგები: ტყვეების არყოფნა და უზარმაზარი დანაკარგები ორივე მხრიდან. ომების ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც გამარჯვებულად თავს მიიჩნევდა ორივე მხარე. ბოროდინო ნაპოლეონისთვის იყო ვატერლოოს პროლოგი, ბაგრატიონისთვის – გზა უკვდავებისკენ.**

დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით, ჩვენ გვაინტერესებს ორ იმპერატორს ნაპოლეონსა და ალექსანდრე I-ს შორის ამ სისხლისმღვრელი ომის არა პერიპეტიები, არამედ ჩვენი თანამემამულეების მონაწილეობა რუსეთის არმიის შემადგენლობაში, რომელთა შორისაც პირველი სიდიდე იყო და რჩება ლეგენდარული პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია: ბოროდინოს ბრძოლაში რუსების მხარეზე 12 ქართველი გენერალი იბრძოდა(!), მთლიანად კი რუსეთ-საფრანგეთის 1812-1814 წლების კამპანიაში – 18 გენერალი. ამას გარდა, დადასტურებულია, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ 72 ქართველი ოფიცერი იბრძოდა. უეჭველია, რომ მათი რიცხვი გაცილებით მეტია, ისევე როგორც რიგითი ქართველი მეომრებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია, არქივების დიდი ოდენობაც დაკარგული ან განადგურებულია ბოლშევიკების მიერ 1917-1932 წლებში.

ბოროდინოს ბრძოლის მთავარი გმირი, რასაკვირველია, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი იყო, რუსეთისა და უცხოეთის 18 ჯილდოს კავალერი, რომლებიც მას მიენიჭა ბრწყინვალე გამარჯვებებისა და სამხედრო ოპერაციებისთვის 20 ლაშქრობასა და 156 ბრძოლაში, რომლებშიც ის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ასეთი სტატისტიკა სხვას არავის აქვს!

...პეტრე ბაგრატიონის მკვლევარებისთვის არ არის ცნობილი მისი არც დაბადების წელი, არც თვე და არც რიცხვი. ყიზლარში მისი დაბადების მიახლოებით თარიღად 1769 წელს ასახელებენ. იქვე სწავლობდა ადგილობრივი გარნიზონის სკოლაში. 15 წლისა ღებულობს სერჟანტის ჩინს, იყო ასტრახანის ქვეითი პოლკის მუშკეტერი კავკასიის ხაზზე, ერთი წლის შემდეგ მოხდა მისი პირველი საბრძოლო ნათლობა. გავიდა წლები. ის გენერალისიმუს ალექსანდრე სუვოროვის საყვარელი ოფიცერი გახდა, მასთან ერთად მონაწილეობს მრავალრიცხოვან ლაშქრობებსა და ბრძოლებში. პეტრე ბაგრატიონის მამაცობითა და უშიშარობით აღფრთოვანებულმა სუვოროვმა 30 წლის ქართველი პოლკოვნიკი გენერლის ჩინზე წარადგინა, გადასცა მას სახელობითი დაშნა წარწერით: „პ. ბაგრატიონს ა. სუვოროვისგან“.

ჩვენი ნარკვევის გმირს აღმერთებდა თავად იმპერატორი პავლე I, რომელმაც რუსეთის არმიის რეორგანიზაციის პერიოდში მოახდინა ყველა თავისი პოლკის ინსპექტირება, პეტრე ბაგრატიონის პოლკის გარდა, იმდენად ენდობოდა და აფასებდა მას. სხვათა შორის, პავლე I-მა მაშინ გაათავისუფლა ასობით გენერალი, ასობით ოფიცერი.

ნაპოლეონმა კარგად იცოდა პეტრე ბაგრატიონის სახელი ევროპაში მრავალრიცხოვან ბრძოლებში, კერძოდ კი 1805-07 წლების ანტინაპოლეონურ კოალიციაში მონაწილეობის წყალობით. უკვე მაშინ საფრანგეთის იმპერატორი მიიჩნევდა ბაგრატიონს „რუსეთის არმიის საუკეთესო გენერლად“. ბაგრატიონის მეომრები ხშირად უწოდებდნენ მას სიყვარულით: „ბოგ რატ ი ონ!“ (ქართულად: ის ჯარის ღმერთია). ამ წლებში ბაგრატიონი უკვე მსახურობდა მიხეილ კუტუზოვის სარდლობის ქვეშ, რომლის წარდგინებითაც ბაგრატიონი დააჯილდოვეს რუსეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – წმინდა გიორგის მე-2 კლასის ორდენით და წარადგინეს გენერალ-ლეიტენანტის წოდებაზე. ეს იყო 1805 წლის 8 ნოემბერს, ორ წლინახევრის შემდეგ პეტრე ბაგრატიონი ინფანტერიის გენერლის ჩინით გახდა პირველი ქართველთა შორის მოლდოვის (დუნაის) არმიის მთავარსარდალი...

1812 წლის 16 მარტს ბრძოლებში გამოწრთობილ პეტრე ბაგრატიონს, რომელსაც ყოველთვის შეეძლო მცირე ძალებით დაემარცხებინა უფრო მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე, ნიშნავენ დასავლეთის მე-2 არმიის მთავარსარდლად. როდესაც ნაპოლეონის რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემოჭრის შემდეგ შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია, დადგა საკითხი არმიის ხელმძღვანელობის ერთმმართველობაზე. ექვსი წარდგენილი კანდიდატურიდან ერთი პეტრე ბაგრატიონი იყო, მაგრამ იმპერატორმა ალექსანდრე I-მა თავისი არჩევანი მიხეილ კუტუზოვზე, როგორც რუსზე, ასაკით და სამხედრო სტაჟით უფროსზე შეაჩერა. ის გახდა კიდეც დასავლეთის ოთხივე არმიის მთავარსარდალი.

...ბოროდინო. რუსეთის არმიის მარცხენა ფლანგი, პეტრე ბაგრატიონის მეთაურობით იგერიებდა ფრანგების მრავალრიცხოვან შემოტევებს. ნაპოლეონი თავის საუკეთესო გვარდიელებს, თავის საუკეთესო სარდლებს აგზავნიდა სწორედ ბაგრატიონის არმიის წინააღმდეგ. ეს იყო ორი საუკეთესო არმიის დღემდე უხილავი მასობრივი შეტაკება. ფრანგებიც, რუსებიც იბრძოდნენ გააფრთებით, მრავალგზის ერთვებოდნენ ხელჩართულ ბრძოლებში. აი დაიჭრა მარშალი დავუ. ნაპოლეონი მის შესაცვლელად ბაგრატიონის წინააღმდეგ აგზავნის მარშალ მიურატის კორპუსს, იქვეა ნაპოლეონის ძმა ჟერომი თავისი ჯარებით. მაგრამ ვერც მათ შეძლეს იმ სიმაღლეების აღება, სადაც ბაგრატიონმა თავისი ქვემეხები განალაგა, მოგვიანებით ეს სიმაგრეები შევლენ ისტორიაში, როგორც „ბაგრატიონის ფლეშები“.



# ბაგრატიონი, ნაპოლეონი, ბოროდინო



...აგვისტოს იმ დღეს გმირულად იბრძოდნენ დანარჩენი ქართველი გენერლებიც. რუსეთის არმიაში მაშინ დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ საბრძოლო მეთაურები – ძმები ივანე და სიმონ ფანჩულიძეები, ორივე სახელგანთქმული გენერალი.

ბოროდინოს ბრძოლაში გმირულად იბრძოდა გენერალი ანტონ შალიკაშვილი – ულანის პოლკის ლეიბ-გვარდიის მეთაური. მას სავსებით შეეფერებოდა სუვოროვის სახელგანთქმული გენერალი, გენერალ-მაიორი 1799 წლიდან სიმონ განგებლიძე, რომელიც ქვეითთა მე-13 დივიზიას მეთაურობდა. გენერალი ლევან იაშვილი რუსეთში ერთ-ერთ საუკეთესო საარტილერიო მეთაურად ითვლებოდა. ის მალე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, საზღვარგარეთული ლაშქრობის დროს, მიიღებს არტილერიის გენერლის ჩინს და პირველი არმიის არტილერიის უფროსის თანამდებობას. მამაცი, თავგანწირული და პატივმოყვარე იყო მისი უფროსი ძმაც ვლადიმერ მიხეილის ძე იაშვილი, რომელიც უყვარდა და რომელსაც აფასებდა კუტუზოვი.

რომელ ბრძოლაში არ მიუღია მონაწილეობა გამოცდილ მეომარსა და მეთაურს გენერალ ივან გურიელს. ბოროდინოსთან ის ეკატერინობურგის პოლკს მეთაურობდა, სხვათა შორის, გენერალი იყო მისი ძმაც სტეფანე ქაიხოსროს ძე, ვიურტემბერგის დრაგუნთა პოლკის შეფი.

ბოროდინოს ბრძოლაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გენერალი იყო გრაფი ალექსანდრე ქუთაისოვი, რომელიც პირველი არმიის არტილერიას მეთაურობდა, ბოროდინოს ბრძოლის დღეს კი – რუსეთის ჯარების მთელ არტილერიას! 26 აგვისტოს საღამოს მამაცი და ლამაზი გენერალი 28 წლის ქუთაისოვი რაევსკის ბატარეაზე მოკლეს. სხვათა შორის, ალექსანდრეს შვილიშვილი პავლე იპოლიტეს ძე ქუთაისოვი გახდება ინფანტერიის გენერალი, ცნობილი პიროვნება რუსეთში.

ფრანგებზე საერთო გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა გამოცდილმა დიპლომატმა, მრავალი ენის მცოდნემ, გენერალ-ადიუტანტმა სერგეი ლაშქარის ძე ბიზილურმა. ნაპოლეონთან ბრძოლის წლებში ბიზილური იყო კონსული მოლდავეთში, ვლახეთსა და ბესარაბიაში. მისი სამივე ვაჟიშვილი გახდა სამხედრო. ალექსანდრე და გრიგოლი – გენერალ-ლეიტენანტები, პავლე კი – გენერალ-მაიორი. ყველა მათგანმა პაპის სახელი ლაშქარა გვარად გაიხადა და რუსეთში ცნობილი იყვნენ, როგორც გენერალი ლაშქარაშვილები. პავლე ბიზილური (ლაშქაროვი) ბოროდინოს ბრძოლაში იყო ციმბირის პოლკის შეფი მძიმედ დაიჭრა, რის შემდეგაც დაკარგა მხედველობა.

ბოროდინოს ბრძოლაში ჯავახიშვილის გვარის 4 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათგან სამი ღვიძლი ძმა იყო. უფროსი – 62 წლის მებრძოლი ოფიცერი სიმონი გმირულად დაიღუპა ბოროდინოსთან. ფილიპემ და ივანემ ასახელეს თავისი გვარი ფრანგებთან ომში და ორივეს გენერალ-მაიორის ჩინი მიენიჭა. გენერალი იყო მათი ნათესავიც – სპირიდონ ჯავახიშვილი, პავლოდარის ჰუსართა პოლკის მეთაური.

ფრანგებთან ომობდნენ სომხური წარმომავლობის ქართველი თავადები აბუმელიქოვები, რომელთა ვაჟიშვილებიც მოგვიანებით გენერლები გახდნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისელი მებრძოლი გენერალი ვალერიან (როსტომ) მადათოვი, რომელსაც ჯარისკაცებმა „რუსი მიურატი“ უწოდეს. ნაპოლეონთან ომის შემდეგ ვალერიანი დაბრუნდა თბილისში, სადაც თავისი სახელი დატოვა იმით, რომ იყიდა და კეთილმოაწყო კუნძული მტკვრის დინებაში (სადაც დღეს „მშრალი ხიდია“), რომელიც დიდხანს მის – მადათოვის კუნძულის – სახელს ატარებდა. ნაპოლეონთან მამაცურად იბრძოდნენ საქართველოს სამეფო გვარის – ბაგრატიონების წარმომადგენლები: საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ვაჟიშვილი, ეგერის პოლკის ლეიბ-გვარდიის ოფიცერი ილია ბაგრატიონი, იმერეთის მეფის დავითის ვაჟიშვილი, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ფლიგელადიუტანტი; მეფე გიორგი XII-ის შვილიშვილები, მომავალი გენერლები იორამ და ნიკოლოზ თარხანმოურავები; ეგერის პოლკის ლეიბ-გვარდიის პოდპორუჩიკი პეტრე გრუზინსკი, რომლის პოლკში იმ დღეს მოკლეს 700-ზე მეტი რიგითი ჯარისკაცი და 27 ოფიცერი; ულანის პოლკის ლეიბ-გვარდიის კორნეტი ალექსანდრე ბაგრატიონი-იმერეტინსკი; მომავალი გენერალი ზაქარია იოსელიანი, ვისი შვილიც ასევე გახდება გენერალი. ბოროდინოს გმირებს შორის შეიძლება დავასახელოთ ოთხი ძმა გედევანიშვილი, მოსე არღუთინსკი, ალექსანდრე ჭავჭავაძე – პოეტი.

ფრანგების წინააღმდეგ თავისი ლეგენდარული ძმის გვერდით იბრძოდა რევაზ (რომან) ბაგრატიონიც. 32 წლისა ის გახდა პოლკოვნიკი, ბოროდინოსთან ჰუსართა პოლკს მეთაურობდა. თავი გამოიჩინა საზღვარგარეთ ლაშქრობაში, 1813 წელს გახდა გენერალ-მაიორი. 1828 წელს იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორი. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია: საქართველოს სამეფო გვარმა ბაგრატიონმა რუსეთს 30(!) გენერალი მისცა, რომელთაგანაც თითოეული თავისი საბრძოლო გამარჯვებებით დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის არმიას.

ბოროდინოსთან ბრძოლის დროს დაახლოებით შუადღისას ქვემეხის ჭურვის აფეთქებისას ნამსხვრევით მძიმედ დაიჭრა პეტრე ბაგრატიონი. ჭრილობა საბედისწერო აღმოჩნდა, ნამსხვრევმა მარცხენა ფეხის თეძო ძლიერ გაგლიჯა. ბაგრატიონი კვლავ აგრძელებდა სარდლობას, სანამ სისხლის დაკარგვის გამო გონება არ დაკარგა და ცხენიდან ჩამოვარდნილი თავისი ოფიცრების ხელებში არ აღმოჩნდა. 2 სექტემბერს ის ჩაიყვანეს მოსკოვში, შემდეგ – სოფელ სიმში. 10 დღის შემდეგ პეტრე ბაგრატიონი გარდაიცვალა, იგი იქვე დაკრძალეს. ბედის ირონიით, რუსეთის არმიის საუკეთესო გენერალი სამჯერ(!) დაკრძალეს. 1839 წელს მისი ცხედარი გადაასვენეს ბოროდინოს ველზე და დაკრძალეს რაევსკის ბატარეის ადგილზე, მთავარ მონუმენტთან. მსვლელობის დროს მისმა ერთგულმა თანაპოლკელებმა კატაფალკს, რომელზეც ესვენა იმათი საყვარელი მეთაურის ცხედარი, გამოხსნეს ცხენები და თვითონ ჩაებნენ მათ მაგივრად, და ასე მიიტანეს კუბო ბაგრატიონის ცხედრით მისი მსოფლიო დიდების ადგილზე... 1932 წელს პეტრე ბაგრატიონის საფლავი – მთავარი მონუმენტი – ააფეთქეს ბოლშევიკებმა. მხოლოდ 1987 წლის 18 აგვისტოს აღადგინეს მემორიალური კომპლექსი. სამი წლით ადრე, 1984 წელს, თბილისში გაიხსნა პეტრე ბაგრატიონის დიდებული ძეგლი (მოქანდაკე – მერაბ მერაბიშვილი). 1985 წელს ცნობილმა ქართველმა მსახიობმა, სცენარისტმა და რეჟისორმა გიული ჭოხონელიძემ გადაიღო მხატვრული ფილმი „ბაგრატიონი“, რომელშიც ბრწყინვალედ შეასრულა მთავარი როლი. მანვე შეასრულა ბაგრატიონის როლი სერგეი ბონდარჩუკის ფილმში „ომი და მშვიდობა“. უკვე სსრ კავშირის კრახის შემდეგ, 1999 წლის სექტემბერში, მოსკოვში გახსნეს პეტრე ბაგრატიონის ძეგლი (ავტორი მერაბ მერაბიშვილი), ათი წლის შემდეგ კი მისი ძეგლი დაიდგა სანკტ-პეტერბურგში...

რუსული არმიის საუკეთესო გენერალი უკვდავებაში დაუმარცხებელი გადავიდა...



**ლევან დოლიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

## პოეზია

**დიოგენ ხალდეშელი (ჩეგიანი) აფხაზეთიდან დევნილია, უკვე რამდენიმე წელიწადია საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია, გამოცემული აქვს არაერთი პოეტური კრებული.**

**ქვემოთ გთავზაობთ პოეტ დიოგენ ხალდეშელის სამ ახალ ლექსს.**

## დიოგენ ხალდეშელი

### ქართველ ერს

გულისმომკვლელი რაიც გვჭირს ახლა,
ვინ გვაჩუქებდა სიხარულს იმდენს!
ფარისეველი გვიმიზნებს ლახვარს,
გვაშინებს, გვძარცვავს და მაინც ვითმენთ.
სანამდე ასე! – ეს ფიქრი მახრჩობს.
ჯალათი ჯალათს მინისტრად ნიშნავს.
სანამდე ასე! – მიწა-წყლით ვაჭრობს
და ცხელ ქრისტეს გულს შიგ უყრის ისარს!
სანამდე ასე! – შიმშილის შიშით,
სანამდე ასე! – ტყვეობის შიშით,
სანამდე ასე! – ხალხად თუ ვიშვით,
შმორის, ჭაობის გვეხვიოს ნისლი?!
სანამდე ასე! – დაშლილი სული,
გაუმაძღრობა, სკამისთვის ბრძოლა!
საქართველოო ხომ ერთია სრული,
არ განიყოფის სატახტო ორად!
სანამდე ასე! – საღათას ძილი,
სანამდე ასე! – ღალატი მოძმის.
სანამდე სახის მოზანვა მწვირით,
რომელსაც ხოლმე ძალუმად ვკოცნით!
სანამდე ასე! – დაზინდვა ტვინის,
სანამდე ასე! – მხსნელ კაცის გმობა,
შეჩვეულია მშიშარა ტირილს,
შეჩვეულია ლაჩარი თმობას!
– აღარ გაუშვა ხელიდან შანსი,
დაუდექ ღმერთის მოგზავნილს გვერდით!
თორემ სამშობლოო არ გდია გზაში
გიშველოო, მენდეთ, არა ვარ ღმერთი!

**29.07.2012 წ.**

### რვა წელიწადი

რვა წელიწადი – ღამეა უკუნი!
რვა წელიწადი – ტყუილის ზელადი!
რვა წელიწადი – ჩამქრალი შუქურის!
რვა წელიწადი – ფარსია გელათის!

საიდან სადაო – ეს სენი ქართული.
საიდან სადაო – ვინა თქვა ქართველად.
საიდან სადაო – ღალატი განთქმული.
ეროვნების და სიწმინდის გამთელად!
არა! შენ არა ხარ მშობელი ამათი!
უცხოთა მფარველი, მდევნელი მემკვიდრის.
როგორც ჩანს, ეს ჩვევა მოდგმამდე გადადის,
როგორც ჩანს, ეს არის მიზეზი სიკვდილის.
შენ უცხო თესლით ხარ ადრიდან ფეხმძიმედ,
გენების სიჭრელით თაკილად მავალი.
ეს არის მშობელმა რაც „მოძმედ“ შემძინე,
ჭერქვეშ მტრად, დამცველად აქ, თავის ტრამალის.
საიდან სადაო – ეს სენი ქართული
საიდან სადაო – ვინა თქვა ქართველად!
საიდან სადაო – ღალატი განთქმული.
ეროვნების და სიწმინდის გამთელად!

**29.07.2012 წ.**

### გაერთიანდით სკამის მძებნელნო

**Лебедь, Рак и щука**
**ი. კრილოვი**

ვიდრე ასეა გაწამაწია
ტვინიანსა დ უტვინოს შორის.
და ყველამ ერთგზით აღარ ასწია
დავითის დროშა მტარვალთან ბრძოლით,

განწირულია ხალხის ოცნება
დასაღუპავად, იცოდეს ყველამ!
აზორიგენი ისევ მოსწყდება,
მეტეორივით მშობლიურ კერას!
იქნებ მთლად გავქრეთ ბეზერ რუკიდან
და ვიქცეთ ქვეყნად ვიღაც ოხერთა,
თუ „ჩვენს პრეზიდენტს“
შავზურგსუკნიდან
წყალობის თვალით ბუშმა მოხედა.
– გაერთიანდით, სკამის მძებნელნო,
ოცნების ირგვლივ, ღმერთის კარავთან!
ბოროტსა სძლიე, ერო მძლეველო,
გმართებს – ნაბიჯი უნდა გადადგა!

**31.07.2012 წ.**

## ჩუმის ნატვრითა ქართველი

# გზაგასაყართან

— შვილო ზურაბ, სადამდის?

— ვაიმე, დედა, გავთავ...

მეტი სიტყვები შვილისგან დედას აღარ გაუგონია, ეს იყო უკანასკნელი და... თანაც, ეჰ, რამდენი ასეული წლის წინათ.

თვითონ კი ამ ციხის ძირში იმყოფებოდა მთელი ეს უსასრულო დღეები და წლები. შესცქეროდა უნუგეშოდ, უწყვეტად მომდინარე შვილის ცრემლებსა და...

მოდით, შევუნდოთ. სჯეროდა მუდამ, მისი შვილიც იმ ციხის კედლიდან უმზერდა. იცოდა, განა არ იცოდა, რომ მისი შვილის აღარც ხორცი და აღარც ძვალი ქვეყნად აღარ იყო. აღარც იმ კედლებში, რომლებიც ზურაბის წყალობით, მისივე კირქვა-ალიზად ქცეული სხეულით შეიკრა და შედუღაბდა ერთ მონოლითად, მაგრამ მაინც ყოველთვის ხედავდა მას. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სულიღა იყო მისი შვილისა — იმის სიკვდილი როგორ შეიძლებოდა. სული ხომ უკვდავია! და თავადაც ხომ სულია, ამ ციხის ძირში რომ დაუდევს სამუდამო ბინა და შესცქერის პირმშოს რეალურად და წარმოსახვითაც.



საუბარსაც ვერ ახერხებენ. ამისთვისაც დაეხშოთ ენა და მეტყველება.

თუმცა დრო და დრო, ათეული წლების შემდეგ უნებლიეთ, თავისთავად მიმართავს მდუმარე და ცივ, გულქვა კედლებს:

„სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,

ჩემი ზურაბი მანდ არის, კარგად შემინახეო...“

მაგრამ ეს რა ხდება? ნეტავ ხომ არ მოეჩვენა? თუმცა, მოჩვენება შეუძლებელია. მკაფიოდ გაიგონა:

— გვიჭირს, დედა, კედლებს ბზარი შეეპარათ, რღვევას იწყებენ. ეს ციხე კი ხომ იგივე საქართველოა?! შველას გთხოვთ, შველისთვის გიხმობთ...

გაიგონა შვილის ხმა რეალურად და გაშეშდა. ცნობა შემზარავია, მაგრამ რა ჰქნას მან, უსუსურმა და უიმედომაც? როგორ უშველოს? ვის შეევედროს? რა მოიმოქმედოს? გასაწირიც რომ აღარაფერი დარჩენია?!

მაგრამ ასე ყოფაც ხომ აღარ შეიძლებოდა?! რაღაც უნდა იღონოს. ხომ უთხრეს შველას გთხოვთ, შველისთვის გიხმობთო.

წავიდა. მიდის, მაგრამ არ იცის სად. მაინც მიდის, მიდის და მიდის. რაღაც ზენა ძალა მიიყვანს, სადაც საჭიროა. აქვს ამის რწმენა.

გონს როცა მოვიდა, უკუნითი ღამე იყო. მის წინ კი გადაშლილიყო წყნარი, მშვიდი ტბა, რომელსაც არც დიდი და არც ძალიან პატარა ეთქმოდა.

შეჩერდა და ახლა ჩაუფიქრდა, თუ რამ მოიყვანა აქ. მიხვდა, ამოიცნო, ადრეც ყოფილა აქ, თავის პატარა ზურაბთან ერთად. აბანავა კიდეც იგი აქ.

დიახ, მთებში შეყუჟული ბაზალეთის ტბა იყო.

მაგრამ რა უნდა აქ, რამ მოიყვანა აქ?

და უცბად ელვამ გაიკიაფა, გავარდა მეხი და ჩამოწვა საშინელი დუმილი.

ტბის ზედაპირმა მაღლა აიწია გორაკივით, თანაც კიდევ დუმილითა და უხმაუროდ.

უეცრად ცა გაიხსნა და სხივებით განათებული ფართო, უკიდეგანო სივრცით წყლის ზედაპირისკენ ვარსკვლავივით მოკაშკაშე არსება წამოვიდა — შეუძლებელი იყო ამ სხივმფრქვევ არსებაში არ შეგეცნო...

დიახ, ეს იყო დედაი ღვთისა, წმინდა მარიამი, ვის ხელთმპყრობი სანთელი მზესავით ანათებდა მთელს იმ მიდამოს.

ის მშვიდად დაეშვა მის შესახვედრად მაღლა აზიდული წყლის გორაკზე, რომელიც კვლავ მშვიდად, უტალღებოდ და კვლავ დუმილით დაუბრუნდა საწყის მდგომარეობას.

მოულოდნელობისაგან ქალი გაოგნდა, მოწყვეტით მუხლებზე დაეცა და ხელები მისკენ გაიწვდინა.

— დედაო ღვთისავ, წმინდაო მარიამ, ეს როგორ? მე მხოლოდ გავიფიქრე შენზე, ვისი წილხვედრიც ჩემი ქვეყანაა და ვინაც კიდევ ერთხელ უნდა იხსნა იმ უფსკრულში გადავარდნისგან, რომლის წინაშეც აღმოჩნდა იგი ამჟამად.

— უნდა გაგიმჟღავნო, შვილმკვდარო დედაო, აქ შენ მე მოგიყვანე. აქ ამ ტბის ძირში ხომ თქვენი დიდი მეფის, უდიდესი, ულამაზესი, უბრწყინვალესი ამ ქვეყნად შობილთა შორის — თქვენი თამარის მიერ უცხო წალკოტში ჩადგმულ ოქროს აკვანში არის შენი შვილის სული. უნდა მოგივლინოთ იგი მზეჭაბუკად, ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც დღე და ღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი... ვიცი, ვიცი, რომ სურამის ციხე, სადაც შენი შვილი იქცა კედლებისა და მთლიანად ციხის შემკვრელად, დღეს ირღვევა. მას, მთლიანად ივერთ ციხეს, რღვევა ემუქრება...

— შენა ხარ მისი მხსნელი და მშველელი, დედაო ღვთისავ, — ვერ შეიკავა თავი ქალმა და ჩაექრა სიტყვაში ღვთისმშობელს, — მხოლოდ შენ ძალგიძს, იმ აკვნის ჩვილი მოუვლინო შენს წილხვედრ ქვეყანას.

— იყო ნება თქვენი, — კვლავ გაისმა გაბრწყინებულ სივრცეში წმინდა მარიამის ხმა, — მხოლოდ ერთსა ვთხოვ მე ჩემი წილხვედრი ქვეყნის ხალხს. ისწავლოს ავის და კარგის გარჩევა, მეტის სიდინჯითა და მეტის თავშეკავებით. დაუდგეს მხარში მის მწედ, მხსნელად მივლინებულს. ასეთი რამ ყოველთვის როდი ევლინება ერს!

**ზურაბ ლომიძე**

## სულიერება

# ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ადგილზე პარაკლისი შესრულდა

**მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ადგილზე პარაკლისი შესრულდა.**

**პარაკლისი ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის მონასტრის წინამძღოლმა, არქიმანდრიტმა საბა კუჭავამ და მონასტრის ბერებმა შეასრულეს. პარაკლისს საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი დანიელი, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდის „ივერიისას“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე, ტაძრის პროექტის ავტორი ომარ ნაფეტვარიძე და ვაკის სამების ტაძრის მღვდელმსახური და მრევლი დაესწრო.**

**პარაკლისის შემდეგ პაატა ბურჭულაძემ და აქ მყოფმა პირებმა მახათას მთაზე მშენებარე ტაძრის პირველი ეტაპის სამუშაოების მიმდინარეობა დაათვალიერეს.**

**პარაკლისამდე მახათას მთაზე არსებულ ივერონის ქტიტორთა სახელზე აგებულ ტაძარში ვაკის სამების მოძღვარმა დეკანოზმა მიქაელ წულუკიძემ წირვა აღავლინა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, მახათას მთაზე მშენებლობის დასრულებამდე, მონაცვლეობით, მცხეთა-მთიანეთის ეპარქიაში მოქმედი ყველა ტაძრის სამღვდელოება აღავლენს წირვას.**

**როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ფონდი „ივერიისას“ დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, ტაძრის მშენებლობის სახალხო აქციაში 186 000 ადამიანია გაწევრიანებული. ტაძარს ქართული საზოგადოება და ემიგრაცია ერთად აშენებს და იმ პირებს ვისაც აქვთ სურვილი, მონაწილეობა მიიღონ ტაძრის მშენებლობაში, უნდა მიმართონ ფონდ „ივერიისას“.**

**ინტერპრესი**



## „ნურას უკაცრავად!“

# თურქეთ-საქართველოს მოლაპარაკებას საიდუმლო გრიფი სააპელაციო სასამართლომაც არ მოხსნა

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ქეთევან დუგლაძემ განიხილა For.ge-ს სააპელაციო საჩივარი, თურქეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება შევარდნაძისდროინდელი ბრძანებულებით ასაიდუმლოებს. მოსამართლემ ძალაში დატოვა მიმდინარე წლის 18 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნანა დარასელიას გადაწყვეტილება. ანუ, ქეთევან დუგლაძემ ჩვენი სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.**

For.ge სააპელაციო სასამართლოსგან ითხოვდა ნანა დარასელიას მიერ გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილების გაუქმებას და შესაბამისად, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის იმ საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალებას, რომელიც სამინისტროსგან 30 იანვრის განცხადებით გამოვითხოვეთ.



სააპელაციო სასამართლოში საგარეო საქმეთა სამინისტროს ინტერესებს იცავდნენ ლაშა ქოიავა და კახაბერ ინწკირველი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ნანა დარასელიამ კანონიერად ჩათვალა ის, რომ საიდუმლო გრიფი უნდა ედოს მოლაპარაკების პროცესს, რომლის მიხედვითაც ოშკისა და იშხანის აღდგენის სანაცვლოდ ბათუმში თურქებმა „აზიზის მეჩეთი“ უნდა ააშენონ, ხოლო ახალციხის რაბათის კომპლექსში „აჰმედის მეჩეთის“ რესტავრაციაში უნდა ჩაერთონ. ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ზეპირი განცხადებების თანახმად, მოლაპარაკების პირობები აქამდე ასეთი იყო.

ახალციხის რაბათის კომპლექსი 16 აგვისტოს ზარ-ზეიმით გაიხსნა, ტელევიზიით ვნახეთ, რომ „აჰმედის მეჩეთს“ ზემოდან ოქრო აქვს მოსხმული და თვითმხილველთა განმარტებით, სარესტავრაციო არაფერი სჭირს (არც მანამდე სჭირდა!). ჩვენთვის უცნობია, ახლა რას ითხოვენ თურქები, ან რას სთავაზობენ მათ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები.

სხვა კოლეგებისგან განსხვავებით სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან დუგლაძე საქმის მასალებს დეტალურად იყო გაცნობილი, რაც სააპელაციო სასამართლოში გამართულ 35-წუთიან პროცესზე გახდა ცხადი.

მოსამართლეს ერთი შეხედვით იმდენად კეთილშობილური გამომეტყველება ჰქონდა, რომ გავიფიქრე — სასწაული მოხდება და საჩივარს დააკმაყოფილებს-მეთქი, მაგრამ თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულების გაფორმებით ხომ პირადად მიხეილ სააკაშვილია დაინტერესებული და როგორც ის იტყოდა, ნურას უკაცრავად! მოსამართლე ქეთევან დუგლაძემ განაცხადა, რომ ხელშეკრულების პირობების განსაჯაროება, მის ოფიციალურ გაფორმებამდე ჩვენს ქვეყანას და საზოგადოებას ზიანს მიაყენებს და ამიტომ, მის ოფიციალურ გაფორმებამდე ის საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს For.ge-ს — თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულების ირგვლივ არსებობს დიდი საზოგადოებრივი ინტერესი, ხელისუფლება ხელშეკრულების პირობებს კანონის უგულებელყოფით ასაიდუმლოებს. ამავდროულად, ხელისუფლების გარკვეული წარმომადგენლები (ნიკა რურუა, ნინო კალანდაძე, ნიკა ვაჩეიშვილი) ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ და გამომდინარე ყოველივე აქედან, ჩვენს ქვეყანას და საზოგადოებას ზიანი სწორედ ამ გასაიდუმლოებული ხელშეკრულების გაფორმებით შეიძლება მიადგეს. ამის შესახებ პროცესზეც განვაცხადეთ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია ასეთია — კანონით სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ და პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ 1997 წელს გამოცემული ბრძანებულების თანახმად, ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესი არის საიდუმლო და მისმა განსაჯაროებამ ქართული მხარის ინტერესებს შესაძლოა, ზიანი მიაყენოს. ამიტომ, მოლაპარაკების პროცესი უნდა იყოს საიდუმლო და ხელშეკრულების ტექსტს საზოგადოება მხოლოდ მისი ხელმოწერის შემდეგ გაეცნობა.

ეს პოზიცია თავიდან ბოლომდე გაიზიარეს ჯერ პირველი და შემდეგ მეორე ინსტანციის სასამართლოებმა. For.ge დაელოდება მოსამართლე ქეთევან დუგლაძის დასაბუთებულ გადაწყვეტილების ჩაბარებას. ამის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში, ადვოკატ მამუკა ნოზაძის უანგარო დახმარებით მივმართავთ უზენაეს სასამართლოს.

**ნინო მიქიაშვილი**

# თცნება გაურკვეველი დასასრულით

**ბიძინა ივანიშვილი, გაერთიანება „ქართული ოცნების“ ლიდერი, რომელმაც უკანასკნელ კვირებში შეძლო ქუჩაში გამოეყვანა ათობით ათასი მომხრე, — პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყველაზე სერიოზული მეტოქეა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მომენტიდან, წერს სილვია შტებერი „Tagesspiegel“-თვის.**

ივანიშვილს, გვიამბობს შტებერი, აქვს გულუხვი კაცის სახელი, მაგრამ მას არ უყვარს პუბლიკის ყურადღება. ღარიბი გლეხის შვილმა შეიძინა მილიარდიანი ქონება რუსეთში 90-იან წლებში, ცხრა წლის წინათ კი ის დაბრუნდა მშობლიურ პროვინცია საჩხერეში და ყოველგვარი ხმაურის გარეშე დაიწყო დახმარებოდა ჯერ მშობლიურ რეგიონს და შემდეგ სახელმწიფოსაც მთლიანად ფინანსებით, რაც ასობით მილიონი ევროთი განისაზღვრება.

მაგრამ, აგრძელებს ავტორი, 2011 წლის შემოდგომაზე ივანიშვილმა ღიად შეწყვიტა ურთიერთობა სააკაშვილის მთავრობასთან, ბრალი დასდო, რომ მას სურს, დაამყაროს კონტროლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგზე — დაწყებული სასამართლოებითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და დამთავრებული ეკონომიკით. ივანიშვილის სიტყვებით, მას სურს ასწავლოს ხალხს ის, რომ ამომრჩევლებმა უნდა გააკონტროლონ მთავრობა და არა პირიქით. „ივანიშვილის გამონათქვამი ემთხვევა 4,5-მილიონიანი მოსახლეობის იმ ნაწილის განწყობილებას, რომელთა ცხოვრებაც არ გააუმჯობესეს რეფორმებმა, რაც განხორციელდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ესენი არიან ხანდაზმული ადამიანები, რომლებმაც კორუფციასთან ბრძოლისა და სკოლების, უნივერსიტეტებისა და ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში დაკარგეს სამუშაო... გლეხები, რომლებიც უპირატესად აწარმოებენ საქონელს საკუთარი მოხმარებისთვის, ვინაიდან ვერ უძლებენ კონკურენციას იმპორტულ პროდუქტებთან. მაგრამ ესენი არიან ახალგაზრდებიც, კარგად განათლებული ადამიანებიც, რომლებიც არ შედიან მთავრობის გარმოცვაში და ამიტომ, მათი საკუთარი სიტყვებით, განიცდიან სირთულეებს სამუშაოს ძიებასა და ბიზნესის წარმოებაში მონოპოლიზირებულ ბაზარზე“.

ავტორის სიტყვებით, ივანიშვილმა შეძლო ერთმანეთს გადაკიდებული ოპოზიციური პარტიების გაერთიანება კოალიცია „ქართულ ოცნებაში“. „კოალიციას აქვს 80-ზე მეტი ოფისი მთელს ქვეყანაში. ტელესადგური და ინტერნეტ არხი ავრცელებენ ინფორმაციას ყველა პროვინციიდან. ივანიშვილის ხალხმა დაიქირავა ნიჭიერი ჟურნალისტები მცირეოდენი დამოუკიდებელი ინფორმაციის საშუალებებიდან, შესთავაზა მათ ხელფასი 4-ჯერ უფრო მეტი“, — იტყობინება ავტორი.

ივანიშვილის ბევრი მომხრე, იტყობინება ავტორი, ჩივის რომ დაკარგეს სამუშაო სახელმწიფო სტრუქტურებში, რაზეც მთავრობა უპასუხებს, რომ მოდერნიზაციის პროგრამის დროს, ბევრი არაკომპეტენტური თანამშრომელი იძულებული იყო დაეტოვებინა ადგილი. სამთავრობო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და პიარ-სააგენტოები ცდილობენ, ივანიშვილს მიანიჭონ რეტროგრადის სახე, რომელიც მოქმედებს რუსეთის ინტერესებით. ამავე დროს მთავრობა ცდილობს, აუკრძალოს მილიარდერს, დახარჯოს ფული პოლიტიკური მიზნებისთვის, მიუთითებენ მკაცრ კანონს პარტიების დაფინანსების შესახებ.

ივანიშვილს ბრალს სდებენ პრორუსულ პოზიციაში, ვინაიდან იგი ლაპარაკობს, რომ საქართველომ დაიწყო 2008 წლის ხუთდღიანი ომი, როდესაც თავს დაესხა სამხრეთ ოსეთს, იტყობინება შტებერი. „ივანიშვილი გამოდის რუსეთთან დიალოგისთვის და ამ პოზიციას ამჟამად მხარს უჭერს ბევრი ქართველი. მაგრამ მას სურს, შეინარჩუნოს ქვეყნის დასავლური ორიენტაციაც. ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ირაკლი ალასანია განმარტავს, რომ საქართველომ ჯერ უნდა იზრუნოს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის, რათა ქვეყანა აღარ იყოს საჯილდაო ქვა მოსკოვისა და დასავლეთის ურთიერთობებში. ნატოსა და ევროკავშირში შესვლა — ხანგრძლივი პერიოდის მიზნებია, რომელთა შესასრულებლადაც საქართველომ უნდა შექმნას წინაპირობები თავისთან სახლში“, — წერს ავტორი.

მაგრამ ავტორი კოალიციის ზოგიერთი სხვა წევრების გამონათქვამების საფუძველზე გამოთქვამს ეჭვს, რომ კოალიცია შეძლებს, მიაღწიოს ამ მიზნებს. ზოგიერთი მათგანი, — წერს კორესპონდენტი, მხარს უჭერს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას განზრახვაში, განამტკიცოს თავისი პოზიცია რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის ხარჯზე — მაგალითად, მურმან დუმბაძე, ივანიშვილის კანდიდატი მუსლიმანურ აჭარაში, გამოდის მეჩეთების მშენებლობის წინააღმდეგ.

DER TAGESSPIEGEL

## დედამიწის ზურგზე



**რომნი ოფიციალურად გახდა აშშ პრეზიდენტობის კანდიდატი და დაგვპირდა: რუსეთს მასთან გაუჭირდება**

**პარტიის ყრილობაზე რომნიმ ობამას ბრალი დასდო მოსკოვთან ზედმეტი „მოქნილობისთვის“, რომ მან „მიატოვა“ ისრაელი და აყოვნებს რეაგირებას ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ ობამას, მისგან განსხვავებით, არ აქვს გამოცდილება ბიზნესში. გამოკითხვის მიხედვით, რომნიმ გაუსწრო ობამას საპრეზიდენტო რბოლაში — 42 პროცენტი 44 პროცენტის წინააღმდეგ.**

* * *

**მეცნიერებმა შეძლეს „ხან სოლოს ხომალდის“ საიდუმლოს ამოხსნა ბალტიის ზღვის ფსკერზე**

**საიდუმლო მრგვალი ობიექტი შეიძლება აღმოჩნდეს მთის ვულკანური ქანის მხოლოდ ნაწილი, რომელიც შეიძლება შემოსულიყო სკანდინავიაში ყინულების მეშვეობით, რომლებმაც დაფარეს ევროპა გამყინვარების პერიოდში. აღმოჩენის ავტორები — შვედი დაივერები — უმთავრესად ფიქრობენ ატლანტიდის შესახებ და გვპირდებიან, მალე გვაცნობონ ერთგვარი უკიდურესად საინტერესო ფაქტები.**

* * *

**ავტობუსი ბაქოში შეეცადა გადაესწრო მატარებლისთვის, მაგრამ ვერ შეძლო: დაიღუპა 6 კაცი**



**ავტობუსის მძღოლი არ შეჩერებულა სარკინიგზო გადასასვლელზე, მიუხედავად სიგნალისა მატარებლის მოახლოების შესახებ — ასეთია პოლიციის ვერსია. ხელისუფლება ოფიციალურად იტყობინება 6 დაღუპულისა და 47 დაზარალებულის შესახებ. ავტობუსის მძღოლმა მიიღო სერიოზული ტრავმები, თუმცა, ცოცხალი გადარჩა. გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე.**

* * *

**ვენესუელამ ჩინეთის ტერიტორიიდან გაუშვა მეორე თანამგზავრი**

**მას ფრანსისკო დე მირანდას პატივსაცემად მისი სახელი მიენიჭა. მირანდამ უზარმაზარი წვლილი შეიტანა ვენესუელის პირველი რესპუბლიკის შექმნაში. პირველი თანამგზავრი „სიმონ ბოლივარი“, რომელიც ასევე შეუკვეთა ვენესუელამ ჩინეთში, ორბიტაზე გაუშვეს 2008 წლის ოქტომბერში. ვენესუელა აგებს თანამგზავრების წარმოების საკუთარ საწარმოს, ასევე ჩინეთის დახმარებით.**

* * *

**პენტაგონი იწყებს „კიბერშეიარაღებისთვის რბოლას“, ყიდულობს საბრძოლო ვირუსებს. რუსეთში შეშფოთებული არიან**

**ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი საბრძოლო კომპიუტერული პროგრამების შექმნაზე, რომლებსაც შეეძლებათ, ხელში ჩაიგდონ და მწყობრიდან გამოიყვანონ მტრის კიბერსისტემები. პარალელურად იწყება კომპლექსური პროგრამის დამუშავება მტრის კიბერსივრცისა და კიბერმოწყვლადი ინფრასტრუქტურის გამოკვლევისთვის.**



საქართველო ევროპაში მშობიარეთა და ახალშობილთა სიკვდილიანობის შემაშფოთებელი სტატისტიკით გამოირჩევა, 77 ათასი ბავშვი კი სიღარიბის ნიშნულს ქვევით, ანუ უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, მაგრამ ახალი მეგაპროექტების დაგეგმვით, თუ ბაზრის არამიზნობრივი ხარჯვის გამო, ჯანდაცვის სისტემისთვის გამოყოფილი თანხები კატასტროფულად საკმარისი არ არის. ქვეყანაში, რომელსაც პროგრესზე აქვს პრეტენზია, შვილი დედის განგრენირებულ ფეხს სახლის პირობებში არ უნდა აჭრიდეს და ამის გასამართლებლად ოდესღაც ჯარში ნანახი სამხედრო ქირურგის მიერ განხორციელებულ მანიპულაციაზე დაკვირვებით მიღებული ვიზუალური გამოცდილებით არ უნდა სარგებლობდეს; ამავე დროს, როცა თქვენ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, საუბრობთ დასავლეთში ვიზების გაცემის გამარტივებულ რეჟიმზე, იქვე უნდა დააკონკრეტოთ, თუ ვის აქვს ამ ვიზის აღებისა და საზღვარგარეთ რაგვარ პირობებში მუშაობის (სწავლის) უფლება. როცა სახელმწიფო ჩინოვნიკები შობადობის მომატებაზე საუბრობენ, იქნებ ელემენტარული სამართლიანობის გრძნობას მოუხმონ და ის მცირე „დეტალიც" დაამატონ, საზღვარგარეთ რამდენი წლით გადახვეწილი ოჯახის წევრის შრომისა და უხმოდ გადატანილი ტკივილის ხარჯზე ხდება ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება; როცა მოქნილი ბიუჯეტის შესაძლებლობასა და საყოველთაო დაზღვევაზე საუბრობთ, იქნებ აქვე დააკონკრეტოთ, რომ ხაზინა ემიგრაციაში მყოფი ადამიანების ხარჯზეც ივსება... უკვე მერამდენე შემთხვევაა, როდესაც ფსიქიკური სტრესის გამო ნიუ იორკის პოლიცია ქუჩასა თუ ოკეანის ნაპირზე შეშლილსახეებიან, არაადეკვატური ქცევით გამორჩეულ ქართველ ქალებს „იჭერს". მოგვიანებით კი ირკვევა, რომ მათ „ქისის" იურისტის კი არა, არამედ ფსიქიატრის კონსულტაცია სჭირდება.

ბატონო პრეზიდენტო, საქართველო, როგორც გაეროს წევრი ქვეყანა, „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციას" (CEDAW) 1994 წლის 22 სექტემბერს შეუერთდა. ეს გახლავთ იურიდიულად ვალდებულებითი ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც კრძალავს ქალთა დისკრიმინაციას (მათ შორის ვერბალურს) და მთავრობებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის დასამკვიდრებლად ქმედითი ზომების მიღებას ავალებს. ეს კი თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ საქართველო გაეროს წინაშე „ქალთა კონვენციად" წოდებული დოკუმენტის ყველა პუნქტის აღსრულებაზეა ანგარიშვალდებული; რომ სწორედ სახელმწიფო იღებს თავის თავზე სექსიზმის აღმოფხვრის პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურულ-ეკონომიკური სტრატეგიების შემუშავებასა და დამკვიდრებას. შეგახსენებთ, რომ კონვენციაში არაფერია ნათქვამი საბავშვო სამოდელო სააგენტოს გოგონების განსაკუთრებულ მისიაზე, სამაგიეროდ კონვენციის XIV თავი სოფლად მცხოვრებ ქალთა განსაკუთრებულ მოწყვლადობასა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების გზების ცხოვრებაში დამკვიდრების აუცილებლობას სრულად ეთმობა. ის კი არა, მსოფლიო სოფლად მცხოვრები ქალების დღესასწაულსაც (15 ოქტომბერი) კი აღნიშნავს, სწორედაც რომ სპეციალურად ამ „ინტერესთა ჯგუფის" განსაკუთრებული დაცვის საჭიროების ხაზგასასმელად. შსს – ყოველდღიური ანგარიშები, ალბათ, ისევ და ისევ ადასტურებენ წლების წინანდელ სამწუხარო სტატისტიკას: სოფლად ქალები განსაკუთრებით არიან მოწყვლადი რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემების, ოჯახში ფიზიკური ძალადობის სიხშირისა და მსხვერპლთა დაცვის სრულფასოვანი ქსელის არარსებობის გამო. საქართველოში არის რეგიონები, სადაც ქალებს 20 და 30 აბორტი აქვთ გაკეთებული და ქალები, რომლებისთვისაც დიდი ხნის განმავლობაში ელემენტარული სამედიცინო შემოწმებები ხელმიუწვდომელია. ზემოხსენებული კონვენციის V თავში კი აღნიშნულია, რომ გაეროს წევრი ქვეყნები ყველა შესაბამის ზომებს ეძიებენ, რათა „შეცვალონ მამაკაცისა და ქალის ქცევის სოციალური და კულტრული მოდელები, რათა მიღწეული იქნეს ცრურწმენების, წესებისა და იმ სხვა პრაქტიკის აღმოფხვრა, რომელიც ემყარება არასრულფასოვნების იდეას, ანდა ერთ-ერთი სქესის უპირატესობას, ანდა ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპიზაციას".

დასავლეთში არაერთი პარტიული ლიდერი თუ პოლიტიკოსი ღიადაა ჩართული გენდერული თანასწორობის პოლიტიკურ თუ სოციალურ კამპანიებში (თუნდაც წინასაარჩევნო დივიდენდების მოსაპოვებლად). ქალაქად თუ სოფლად, საავადმყოფოებსა თუ სუპერმარკეტებში, ავტობუსების გაჩერებებსა თუ მეტროში, ტელევიზიით თუ რადიოთი განუწყვეტლივ აცხადებენ არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების, არამედ მერიის ან რომელიმე სახელმწიფო სააგენტოს „მესიჯებს" სექსუალური მაძიებლობისა თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების („ცხელი ხაზები", კრიზისული ცენტრები, თავშესაფრები, უფასო იურიდიული, სამედიცონო და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისები და სხვა) ცენტრების საკონტაქტო ინფორმაციას. მაგალითად,

დასასრული. დასაწყისი იხ. № 165, 166

ნიუ იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი, რომელიც ოჯახში ძალადობის კამპანიის ერთ-ერთი მოთავეა. ქართულ ნაციონალურ ლიდერებს კი საკუთარი მეუღლის საზღვარგარეთ უსაფრთხო მშობიარობის დაგეგმვის პარალელურად რატომღაც ავიწყდებათ, რომ სხვა თანამოქალაქეებსაც სჭირდებათ უსაფრთხო სამშობიარო და საარსებო გარემო, თანაც იმ ქვეყანაში, სადაც ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი" (კვლევა ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა) გამოკითხვის თანახმად ყოველი მესამე ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია, ხოლო საქართველოში „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის" თავშესაფარში

# სექსიზმის გარეშე, ბატონო პრეზიდენტო




წელიწადში საშუალოდ 50-მდე ქალი ხვდება... ბავშვებითურთ. მათ შორის ფეხმძიმე ქალებიც (თავშესაფარში 20 ბავშვი გაჩნდა). ბოლო 4 წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის 1997 მონაწილე აღირიცხა (1025 შემთხვევა), თუმცა, ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ოჯახში ძალადობის გაცილებით დიდ რიცხვზე საუბრობენ, რადგანაც პატრიარქალურ საზოგადოებაში ეს თემა ტრადიციულად ტაბუირებულია; პარტიის ლიდერების პირთაგან კი ვერასოდეს გაიგონებთ სიტყვათა შეთანხმებას „გენდერული თანასწორობა" და თუ მათ სამეტყველო რეპერტუარში ქალთა საკითხზე საუბარს ძალიან იშვითად მოვკრავთ ყურს, ისიც მხოლოდ დედობის ინსტიტუტის ხსენების კონტექსტში. დღევანდელი საქართველოს პარლამენტში ქალთა რაოდენობა 7 პროცენტს (საქართველოს მოსახლეობის 52,3 პროცენტი – ქალია, 47,7 – მამაკაცი) არ აღემატება და ამ მაჩვენებლით ჩვენ მსოფლიოში 120-ე ადგილზე ვართ.... თანამედროვე პოლიტიკა, მით უმეტეს პროდასავლური, შეუძლებელია ჰარმონიული და ეფექტური იყოს, თუ გადაწყვეტილების მიმღების პროცესში გენდერული ბალანსი არაა დაცული. ქართვლის დედისა და ქალის კულტის ქვეყანაში არსებობს ქალზე ფიზიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური ძალადობის სრულიად ალმაშფოთებელი სტატისტიკა. გაეროს მონაცემებით ყოველი მეთერთმეტე ქალი აღიარებს, რომ ქმრის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი გამხდარა; არის ძალადობის ფაქტები ორსულობის (საქართველოში ფეხმძიმე ქალთა მცირე თავშესაფარიც ფუნქციონირებს) დროსაც კი. ქალების 34 პროცენტი ქმრის მიერ ცოლის ცემას „გარკვეულ შემთხვევაში" დასაშვებად მიიჩნევს: ქალების 78 პროცენტზე მეტი კი თვლის, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტები ოჯახშივე უნდა დარჩეს...

> **უკვე მერამდენე შემთხვევაა, როდესაც ფსიქიკური სტრესის გამო ნიუ იორკის პოლიცია ქუჩასა თუ ოკეანის ნაპირზე შეშლილსახეებიან, არაადეკვატური ქცევით გამორჩეულ ქართველ ქალებს „იჭერს"...**

4 აგვისტოს აჭარაში შუამთობის დღესასწაულზე აღნიშვნის დროს თქვენ ბრძანეთ, რომ „აჭარა... ევროპელების, ამერიკელების კეთილი შურის, მიბაძვის, აღტაცებისა და ტაშის კვრის ობიექტია და ყველამ ჩვენ უნდა ვიამაყოთ, რომ შევქმენით მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო რეგიონი". თქვენ იქვე დასძინეთ, რომ თქვენ (მთავრობა) ქვევით ხართ, ხალხი კი ზევით, რომ თქვენი ამოცანაა იყოთ ხალხის ერთგული მსახურები, გზამკვლევნი და ყველანაირი დარდის გამზიარებლები, რათა ჩვენი შვილები ბედნიერები იყვნენ და სამშვიდობოს გავიდნენ. საღამოს კი იმავე ტელეარხმა, რომელმაც შვიდი თვის წინ თქვენი და ობამას შეხვედრა ვრცლად გააშუქა, ტელეგამოშვების ეპილოგად კვლავ მისთვის ჩვეული „ლამაზმანური" თემა, მოდელი გოგონების „ჯანსაღი კონკურენცია" – ტოპგოგოების (პროექტი topgogo.ge) გარეგნობის შეჯიბრი გვიჩვენა. ეს კი იმას მოწმობს, რომ ქართული მედიამეინსტრიმი ოფიციალური პოლიტიკის დარად, თავისი ორგანული სექსიზმის უცვლელ ტოპსიმაღლეზე მყარად დგას; რომ რიტორიკა, სიმბოლიზაცია, ხატების კონსტრუირება და „მეორე სქესის" მაკონტროლებელი ბერკეტების პიარი, გინდ საგარეო პოლიტიკის დისკურსის (ვაშინგტონის თეთრი სახლის ანტურაჟის ფონზე) მიმდინარეობდეს; გინდ საშინაო გარემოში პრეზიდენტი მგზნებარე სიტყვას აჭარის მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობის მთის ლანდშაფტის გასაგონად იმეორებდეს, მარად და მარად იგივეა და რეფორმა – გადახედვას არ ექვემდებარება.

მაგრამ, ბატონო პრეზიდენტო, ზეიმებისა და ქორწილების (შუამთობისას თქვენ ნეფე-პატარძალს ოჯახის შექმნაც მიულოცეთ), არსებობს ერთი მწარე და სრულიად რეალური მაგრამ: ის, რაც საჩვენებელი მხიარულებისა და ურიცხვი „მრავალჟამიერების" უკან იმალება აჭარაში და არა მარტო საქართველოს ამ რეგიონში, ესაა აშკარა სექსიზმი და ამ ტიპის ძალადობის ეროვნულ ტრადიციად წარმოდგენა, მათ შორის: მამაკაცის დომინანტობის „ნორმატიულობა" ქალის დამცირების, მისი მეორეხარისხოვნების, სულაც უსულობის „კონცეპტის" დამკვიდრებისა და ტირაჟირების ხარჯზე; ქალიშვილობის ინსტიტუტი; გლობალიზაციისა და ინტერნეტიზაციის ეპოქაში ტოტალური გაუნათლებლობა არა მარტო ადამიანის ფიზიოლოგიაში, არამედ ადამიანის უფლებების საკითხში; ფსიქო-სოციალური და იურიდიული დაცვის მიუწვდომლობა; სახელმწიფოს მხრიდან უმცირესობათა უფლებების დაცვის, „ჰუმანურობის ინდექსის" შემცველი გენდერული თანასწორობისკენ მიმართული მწყობრი პოლიტიკის არარსებობა, რომელიც, ბუნებრივია, საქართველოს ესოდენ „აღთქმულ" დასავლეთს რეალურად აშორებს.

უდავოდ, არ უნდა გჭირდებოდეთ ქვეყნის ძირითადი კანონის XIV მუხლის შინაარსის ( ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა) შეხსენება. უდავოდ, როგორც კონსტიტუციის გარანტსა და, თქვენივე სიტყვებს დავესესხები, „ხალხის ერთგულ მსახურს" (თუმცა, რიგითი ადამიანების შემოსავალსა და პენსიებს თუ გადავხედავთ, საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ ვისი მსახურია, საკამათო გახდება) ასევე არ უნდა გჭირდებოდეთ კანონის ამ მუხლის დარღვევის შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად და სრულად მოპოვების აუცილებლობის შეხსენება; მაგრამ მაინც, ამ სფეროში თქვენი მეტად გათვითცნობიერებისთვის ორი კანონდარღვევის შესახებ მოგითხრობთ: რამდენიმე ხნის წინ „მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო რეგიონში" ძალადობის წარმოუდგენელი სცენები გათამაშდა: არასრულწლოვანი გოგონა ქორწილის ღამეს საკუთარი ოჯახის, ქმრისა და სახელმწიფოს (პოლიცია-სამედიცინო დაწესებულება) მხრიდან სრულიად ალმაშფოთებელი ძალადობის სამიზნე გახდა და თავფლობის თვის დასაწყისი პოლიციის განყოფილებაში გაატარა. მეორე; იმავე აჭარაში, რომელსაც ცნობილი ამერიკელი და ევროპელი ხელოვანები სტუმრობენ და ხოტბას ასხამენ, გაუპატიურებული არასრულწლოვანი გოგონა ახლობლების, სოფლის ფეოდალური, მაჩო – თემის მხრიდან ასევე ზღვრულად ალმაშფოთებელი ძალადობის ობიექტი გახდა და იგი, მსხვერპლი, რომელსაც ყოველმხრივი მხარდაჭერა სჭირდება, ლამისაა ლინჩის წესის ნატურალისტურ-ფალოცენტრული „ვერსიით" გაასამართლონ.

როგორც ხედავთ, ქალთა ეს ორი და კიდევ უამრავი არაგლამურული სილუეტი საბაჟოს „ბედნიერ ტოპგოგოებს" სულაც არ ჰგავს. ამიტომ, სექსიზმის გარეშე, ბატონო პრეზიდენტო...

**ია მერკვილაძე,**

„ს.რ"-ის საკუთარი კორესპონდენტი. აშშ, ნიუ იორკი.

**ინფორმაცია**

## ბერეზოვსკის „ბორჯომი" ყვარებია

**კომპანია IDS Borjomi Beverages, რომელიც ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკის სახელს უკავშირდება, „ბორჯომის" გაყიდვაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს, – ამის შესახებ რუსული გამოცემა „კომერსანტი" ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით იუწყება.**

**გამოცემის ცნობით, ბრენდით უკვე დაინტერესდნენ რუსული და დასავლური ფონდები, გარიგების შესაძლო თანხა კი, 400-500 მილიონი დოლარია.**

**როგორც რუსული წყაროები წერენ, კომპანია IDS Borjomi Beverages „ბორჯომის" აქციების 87%-ზე მეტის მფლობელია, დანარჩენი ნაწილი კი, კომპანიის მენეჯერებს ეკუთვნით. „ბორჯომის" ქარხნის გარდა, კომპანიას ეკუთვნის ორი ქარხანა უკრაინაში, რომლებიც „მირგოროდის" და „მორშინის" წყლებს ასხამენ. კომპანიის გაყიდვების ოდენობა 2009 წელს ნახევარი მილიონი ბოთლი იყო. კომპანიის განვითარება საგრძნობლად შეიზღუდა 2006 წლიდან, როდესაც რუსეთის სანიტარიულმა სამსახურმა, სასმელის დაბალი ხარისხის მიზეზით, რუსეთში „ბორჯომის" შეტანა აკრძალა. თუმცა, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აკრძალვა სინამდვილეში ბერეზოვსკის ფიგურას უკავშირდებოდა.**

**უკანასკნელი წლების განმავლობაში კვლავ გავრცელდა ხმები „ბორჯომის" რუსულ ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით, თუმცა, მაღაზიებში ცნობილი ქართული წყალი ამ დრომდე არ ჩანს. 2006 წლამდე კი „ბორჯომისთვის" რუსეთი მთავარი ბაზარი იყო.**

ინტერპრესი

კალათბურთი

# შეაჩერეთ ლატვია!



**მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები ისვენებდა, რიგაში „ევრო – 2013“-ის „დ“ საკვალიფიკაციო ჯგუფის ცენტრალური მატჩი გაიმართა: ლატვია – ბოსნია.**

მასპინძლებმა წარმატებით გადაჭრეს ბალკანელთა ლიდერის ტელეტოვიჩის ნეიტრალიზების საკითხი (მან მხოლოდ 13 ქულა მოაგროვა) და უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე მნიშვნელოვან გამარჯვებამდე – 80:64 (16:19, 26:11, 24:19, 14:15).

**ყველაზე შედეგიანები:** ბერტანსი – 25 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი (ლატვია), დედოვიჩი, რაიტი – 16-16 ქულა (ბოსნია).

ჰოლანდია – რუმინეთი 80:74 (15:12, 16:18, 21:18, 28:26).

საქართველო, ლატვია, ბოსნია – 3-3, ჰოლანდია – 2, რუმინეთი – 1 მოგება.

**ხვალ ითამაშებენ:** რუმინეთი – საქართველო, ბოსნია – ჰოლანდია. ისვენებს ლატვია.

## საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის განცხადება

2012 წლის 29 აგვისტოს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის პრესკონფერენცია, რომელსაც წინ უძღოდა მეტად არასასიამოვნო ინციდენტი საკალათბურთო სუპერლიგის დირექტორ გიორგი ზაზახიძესა და სპორტულ ჟურნალისტ როლანდ ლაბუჩიძეს შორის.

ზაზახიძემ უხეში ფორმით უკმაყოფილება გამოთქვა ლაბუჩიძის მიერ ადრე გამოქვეყნებული კრიტიკული წერილების გამო და ჟურნალისტს საპრესკონფერენციო დარბაზში შესვლის საშუალება არ მისცა, თანაც კალათბურთის მატჩებზე აკრედიტაციის ჩამორთმევით დაემუქრა. ამას მოჰყვა ურთიერთშელაპარაკება. ლაბუჩიძე იძულებული გახდა დაეტოვებინა სასტუმროს შენობა.

სრულიად აშკარაა, რომ საკალათბურთო სუპერლიგის დირექტორი გიორგი ზაზახიძე გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, დაარღვია სპორტული მოხელისა და ჟურნალისტის ურთიერთობის ელემენტარული ნორმები და ჟურნალისტს ხელი შეუშალა პროფესიული მოვალეობის შესრულებაში.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გაემიჯნება საკალათბურთო სუპერლიგის დირექტორის, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურ და შეუფერებელ საქციელს, იმსჯელებს ამ დასანანი ინციდენტის თაობაზე, ფედერაციისა და სპორტული მედიის წარმომადგენელთა ურთიერთობა კი, კვლავაც ცივილიზებული ფორმით გაგრძელდება.

რეკორდი

# მწვრთნელის ნაკვალევზე

**ანა ლომიძემ ძველი ქართული სამხედრო-საწვრთნელი სტილით – „ხელფეხშეკრული კოლხურით“ გადაცურა დარდანელის სრუტე. სტარტი აიღო ევროპის კონტინენტზე ქ. ეჯიაბათიდან სამხრეთით მდებარე დასახლება კილიტბაჰირთან და ფინიშთან მივიდა ქ. ჩანაქკალეს სამხრეთით მდებარე დასახლება ქეფეზის ნავმისადგომთან (აზიის კონტინენტი). მან 5 500 მეტრი 50 წუთში გაცურა.**

იგი ჩვენს პლანეტაზე გახდა პირველი ქალი (თანაც 17 წლის სკოლის მოსწავლე), რომელმაც ცურვის ქართული სამხედრო-საწვრთნელი სტილით გადალახა ევროპისა და აზიის გამყოფი დარდანელის სრუტე.

ანა ლომინაძემ ასპარეზობა მიუძღვნა საკუთარი მწვრთნელის ჰენრი კუპრაშვილის მიერ დარდანელის გადაცურვის 10 წლისთავს.

ისტორიულ გადაცურვას ორგანიზაცია გაუწია და ხელმძღვანელობდა საქართველოს ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაცია.

ამ მსოფლიო სარეკორდო-საგინესო ასპარეზობას გვერდში ამოუდგნენ თბილისის მერია, ცნობილი ბარიტონი ლადო ათანელი, სპორტკომპლექსი „ლაგუნა ვერე“, ავიაკომპანია „თურქიშ ეარლაინზი“, ჰოსპიტალების მართვის ჯგუფი „ავანტე“, სასტუმრო „რედისონი“, ანაკლიის ბანაკი „პატრიოტი“, „დღის შოუ“, მწერალი და მსახიობი გივი სიხარულიძე...



ჭადრაკი

# კაცური სიურპრიზი



**სტამბოლში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ნელ-ნელა ძალებს იკრებს და ორთაბრძოლები უფრო საინტერესო ხდება, რადგან ფავორიტებმა სუსტი გუნდები ჩამოიტოვეს და უკვე ერთმანეთთან უწევთ ურთიერთობის გარკვევა. საქართველოს ქალთა ნაკრებს მე-3 ტურში გერმანიის ეროვნული გუნდი ერგო.** მართალია, ალემანებს გრანდებს არ განეკუთვნებიან, მაგრამ საინტერესო მოთამაშეები ჰყავთ, რომლებსაც ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის შეუძლიათ მეტოქეობის გაწევა. ასე იყო მე-3 ტურშიც – საჭადრაკო ოლიმპიადის ოთხგზის გამარჯვებულ ქართველებთან ფრეს გამორჩნენ: ნანა ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი, შესაბამისად, ელიზაბეტ პეტცსა და ტატიანა მელამედს დაუზავდნენ, ნინო ხურციძე მარტა მიხნას დანებდა. ჩვენი გუნდი მარცხისგან ლელა ჯავახიშვილმა იხსნა – 83-ე სვლაზე მელანი ოჰმე დაამარცხა. ასევე მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს მედლების კანდიდატები – ჩინეთი და უკრაინა (ჰოუ იფანი – კატერინა ლაგნო 1:0, მარია მუზიჩუკი – ჟაო სიუ 1:0, ცზიუ ვენძიუნი – ნატალია ჟუკოვა 0,5:0,5, ანა უშენინა – ჟუან ძიანი 0,5:0,5). ფავორიტთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: პოლონეთი – უნგრეთი 3:1, ავსტრია – საფრანგეთი 1:3, საბერძნეთი – ესპანეთი 3,5:0,5, სლოვენია – ყაზახეთი 2:2, რუსეთი – მონღოლეთი 3,5:0,5, აშშ – უზბეკეთი 2:2, სომხეთი – ინდოეთი 1,5:2,5.

ვაჟთა ტურნირში სასიამოვნო სიურპრიზი იყო საქართველოს ნაკრების გამარჯვება ჰოლანდიელებზე. ნიდერლანდელებს, ტრადიციულად, ძლიერი მოჭადრაკეები ჰყავთ. ახლაც საუკეთესო შემადგენლობას მოუყარეს თავი, ჩვენებურებს კი ავადმყოფობის გამო ლიდერი – ბაადურ ჯობავა აკლიათ. სწორედ მისმა შემცვლელმა – კონსტანტინე შანავამ მოუტანა გამარჯვების ქულა ქართველებს – შავი ფიგურებით დანიელ სტელვაგენი დაამარცხა, დანარჩენ სამ დაფაზე კი დაზავდნენ: მიხეილ მჭედლიშვილი – ლიუკ ვან ველი, ივან სოკოლოვი – მერაბ გაგუნაშვილი, ლევან ფანცულაია – იან სმიტსი. მეწინავე გუნდების შეხვედრათა შედეგები: ვენესუელა – აშშ 0,5:3,5, ფარერის კუნძულები – აზერბაიჯანი 0,5:3,5, საფრანგეთი – ბულგარეთი 2,5:1,5, ინგლისი – კუბა 3:1, უკრაინა – ისრაელი 2,5:1,5, სომხეთი – ესპანეთი 2,5:1,5, სლოვენია – ინდოეთი 1:3, რუსეთი – ლატვია 2,5:1,5.

წინ დიდი გზაა გასავლელი – კიდევ 8 ტურია სათამაშო. 2 და 8 სექტემბერს მოჭადრაკეები დაისვენებენ.

**ლექსო ცინცაძე**

## შანსი ისევ გვრჩება




**უფროსების პარალელურად თურქულ სტამბოლში 16-წლიან მოჭადრაკეებსაც აქვთ გუნდური ოლიმპიადა, რომელშიც 40 ნაკრები მონაწილეობს.** საქართველოს სპორტულ ღირსებას ირაკლი ბერაძე, გიორგი სიბაშვილი, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ნინო ხომერიკი და ანა შამათავა იცავენ. განვლილ სამ ტურში ჩვენებმა ორი შეხვედრა მოიგეს და ერთი წააგეს. პირველ ტურში სამხრეთაფრიკელებს აჯობეს 3:1, მეორეში ირანელებთან წააგეს – 0,5:3,5, მესამე ტურში კი თურქმენები გაანადგურეს – 4:0.

შეჯიბრების დამთავრებამდე შვიდი ტურია დარჩენილი და იმედია, ჩვენი გოგო-ბიჭები მედლებისთვის ბრძოლას შეძლებენ.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# ნახვამდის, ევროპა!



**ტრადიციისამებრ, ქართული კლუბებისთვის ევროსეზონი აგვისტოში დასრულდა.**

**უკანასკნელმა მოჰიკანმა – გორის „დილამ“ ღუზა ევროპის ლიგის ჯგუფური ტურნირის ზღურბლთან ჩაუშვა, არადა პირველი მატჩის შემდეგ იმედი გვქონდა, რომ პორტუგალიური „მარიტიმუს“ ძლევის უნარი ნამდვილად შეგვწევდა.**

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს შიდაქართლელებს მონდომების დეფიციტში ვდებდეთ ბრალს. არავითარ შემთხვევაში. ის კი არა, ბურთი ორჯერ მოხვდა სტუმართა კარის ძელს, თუმცა კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პოპულარული კონტინენტური ტურნირების ელიტაში დასამკვიდრებლად ქართულ გუნდებს მრავალ სათამაშო კომპონენტში მართებთ სათანადო განსწავლულობა.

მადეირელთა გარდა ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზებენ „შტუტგარტი“, „დნიპრო“, აიკი, „ბილბაო“, „ჰაპოელი“, „ეინდჰოვენი“, „ნეფთჩი, „რუსენბორგი“, „მიოლდე“, „სპარტა“, „იანგ ბოიზი“, „სტიაუა“, „გენკი“, „მეტალისტი“, „პლზენი“, „ბორდო“, „ბრიუგე“, „მარსელი“, „ვიდეოტონი“, „რაპიდი“, „ჰანოვერი“, „ლევანტე“, „პარტიზანი“, „ინტერი“, „ანჟი“, „ლაციო“, „ტვენტე“, „ნიუკასლი“, „ლივერპული“, „სპორტინგი“.

* * *

**ორიოდე კვირაც და სტარტს აიღებს ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის – ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდი. გაუწყებთ კენჭისყრის შედეგებს.**

**„ა“ ჯგუფი.** „პორტუ“, კიევის „დინამო“, „პარი სენ-ჟერმენი“, ზაგრების „დინამო“.

**„ბ“ ჯგუფი.** „არსენალი“, „შალკე“, „ოლიმპიაკოსი“, „მონპელიე“.

**„გ“ ჯგუფი.** „მილანი“, „ზენიტი“, „ანდერლეხტი“, „მალაგა“.

**„დ“ ჯგუფი.** „რეალი“, „სიტი“, „აიაქსი“, „ბორუსია“.

**„ე“ ჯგუფი.** „ჩელსი“, „შახტარი“, „იუვენტუსი“, „ნორდსიელანდი“.

**„ვ“ ჯგუფი.** „ბაიერნი“, „ვალენსია“, „ლილი“, ბატე.

**„ზ“ ჯგუფი.** „ბარსელონა“, „ბენფიკა“, „სპარტაკი“, „სელტიკი“.

**„თ“ ჯგუფი.** „მანჩესტერი“, „ბრაგა“, „გალათასარაი“, „კლუჟი“.

* * *

**უეფას ვერსიით სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ანდრეს ინიესტა („ბარსელონა“) გახდა, რომელმაც თანაკლუბელ ლეო მესის და კრიშტიანუ რონალდუს („რეალი“) გაუსწრო.**



◉ საინჟინრო გეოლოგია

**თანამედროვე ურბანულმა განვითარებამ, რეკონსტრუქცია-გაფართოებამ ნათლად წარმოაჩინა ქალაქმშენებლობისთვის გარემოს საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინების აუცილებლობა. მშენებლობისთვის საჭირო ტერიტორიის ათვისებისას საჭიროა გეომორფოლოგიური, ტექტონიკური, ჰიდროგეოლოგიური და, უწინარესად, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების საგანგებო შესწავლა და ურბანული განაშენიანების თვალსაზრისით სათანადო შეფასება.**

**ქალაქმშენებლობის პრაქტიკამ დიდი ხანია თვალნათლივ დაგვანახვა, რომ როცა ურბანული დაგეგმარება ტერიტორიის წინასწარ შესწავლას არ ეფუძნება, ამას, ხშირად, სავალალო შედეგი მოსდევს.**

**უწინ საქართველოში მშენებლობის სამინისტრო, გეოლოგიური დეპარტამენტი, დედაქალაქსა და მხარეებში გეოლოგიური სამსახურები მოქმედებდნენ, რომლებიც მშენებლობებთან დაკავშირებით კონკრეტულ ტერიტორიებზე სათანადო საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას ამზადებდნენ, მაგრამ ბოლო დროს არაერთმა ტრაგიკულმა შემთხვევამ შეგვახსენა, რომ ადრე მოქმედი სისტემა მოიშალა, მისი სრულფასოვანი შეცვლა კი არ გაგვაჩნია. იმას, თუ რას გვიქადის საინჟინრო-გეოლოგიური ვითარების უგულებელყოფა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტებს ვესაუბრეთ.**

# ურბანული უსაფრთხოება სამშენებლო ბაქი-ბუქის ფონზე



— თბილისს საინჟინრო-გეოლოგიური, გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ძალიან რთული ტერიტორია რომ უკავია, ვფიქრობ, ბევრ განმარტებას არ საჭიროებს — აღნიშნავენ ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი **პაატა თვალაძე**. — ურბანული მშენებლობისთვის კონკრეტული უბანის წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა და სათანადო დასკვნის მომზადება რომ აუცილებელია, არც ეს ბადებს ეჭვს. ამდენად, ინსტიტუტში მიგვაჩნია, რომ თბილისის მასშტაბით **აუცილებელია მთელი საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემების ერთ ბაზაში თავმოყრა, რათა მშენებლობისთვის საჭირო დასკვნის გაცემაზე პასუხისმგებელი ერთი კონკრეტული სამსახური იყოს.**

ამჟამად თბილისშიც, მხარეებშიც მშენებლობებისთვის საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნებს სხვადასხვა კერძო ფირმები გასცემენ, რაც, ჩვენი აზრით, დაუშვებელია, რადგან როცა საქმე, ვთქვათ, დიდი საცხოვრებელი კორპუსის ასაგებად ტერიტორიულად მომგებიანი, მაგრამ საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით უვარგის უბანზე სათანადო ნებართვის გაცემაზე მიდგება საქმე, ამ დროს ასე ვთქვათ, „სხვა ინტერესები“ ერთვება. თუ რა შედეგი მოჰყვება ასეთ მოქმედებას, ამის თაობაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

**„ამჟამად გაშლილი და მომავალისთვის დაგეგმილი ურბანული და კომუნიკაციური აღმშენებლობის გათვალისწინებით საშურ საქმედ მიგვაჩნია საქართველოში ერთიანი საინჟინრო-გეოლოგიური სამსახურის შექმნა თავისი ფილიალებით რეგიონებში. სამსახურს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო კვლევითი და პრაქტიკული პროფილი და აღჭურვილ იქნას უახლესი კვლევით-დიაგნოსტიკური აპარატურით. ამ სამსახურის მიერ გაცემული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნების გარეშე უნდა აიკრძალოს ნებისმიერი სახეობის მშენებლობის დაწყება საქართველოს ტერიტორიაზე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ბუნებრივი წონასწორობის დარღვევა თავისი კატასტროფული შედეგით“,** — ესაა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელზე ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ 2012 წლის 11 ივნისს №04.04.106/24 წერილის ამონარიდი, რომელშიც ერთიანი საინჟინრო-გეოლოგიური სამსახურის შექმნის აუცილებლობაა დასაბუთებული. წერილის ასლი თბილისის მერს გიგი უგულავას გადაეგზავნა. 2012 წლის 12 ივლისს კი თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს №12/95031-3 წერილი მისწერა, რომლის ასლი ინსტიტუტის დირექტორს ზურაბ კაკულიას გაუგზავნა. მასში, კერძოდ, ნათქვამია: **„თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი სცილდება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს“.**

— აი, ასე, მოკლედ, და ასხლეტილად — ჩვენ ეს ამბავი არ გვეხებაო, არადა ტერიტორიების საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლის საქმეს სხვა ლიანდაგზე რომ უნდა დაყენება, ამას უამრავი სავალალო ფაქტი მოწმობს, — აცხადებენ ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტში.

— ასეთი სამსახური რომ საჭიროა, ამის დასტურად ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება: აშენდა საცხოვრებელი მრავალსართულიანი სახლი, მაგრამ კომისია მას საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის უქონლობის გამო არ იღებს, რის შედეგად მისი საჯარო რეესტრში გატარება ვერ ხერხდება, არადა შენობაში უკვე ხალხია შესახლებული, რომელიც ურეგისტრაციოდ საკუთრებას ვერ იმტკიცებს... ასეთი შემთხვევა ერთეული არ გეგონოთ, ეს ტიპური ვითარებაა. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ საინჟინრო-გეოლოგიური სამსახურის მთავარი მიზანია პრევენციული სამუშაოების ჩატარება, რომელთა მთავარი დანიშნულებაა მავანს ვუთხრათ: ამ ადგილზე რაღაცის აშენება სავსებით შესაძლებელია, რაღაცის კი — დაუშვებელი! ახლა კი როგორ ხდება? მიიღებენ გარკვეულ ტერიტორიაზე, ვთქვათ, ხუთსართულიანი სახლის აშენების ნებართვას, მერე კი ფულს გადაიხდიან და კიდევ 2-3 სართულს უმატებენ, რაც ყოვლად დაუშვებელია, რადგან ამას, შესაძლოა, ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვეს. ამიტომაც მივიჩნევთ, **რომ ურბანულ (ისევე , როგორც სხვა სახის) მშენებლობებს აუცილებლად საინჟინრო-გეოლოგიური ზედამხედველობა სჭირდება, რათა ყველა შედეგზე კონკრეტული პასუხისმგებელი ორგანიზაცია არსებობდეს,** — აცხადებენ სპეციალისტები.

საინჟინრო-გეოლოგიური ვითარების გაუთვალისწინებლობის მკაფიო მაგალითი, ბატონ პაატა თვალაძის თქმით, მდინარე გლდანულას ხიდია. — ამ ერთი ციდა მდინარემ, რომელშიც, რომ იტყვიან, „ორი ვედრო წყალი“ მოწანწკარებს, ძლიერი წვიმის შემდეგ ხიდი წაიღო, რომლის აღდგენა ლამის მილიონი ლარი დაჯდა. არადა ნაპირგასამაგრი სამუშაოები დროულად რომ ჩატარებულიყო, რასაც წინმსწრები საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების კვალიფიციური ჩატარება უნდოდა, სულ ორი-სამი ათასი ლარი დასჭირდებოდა! იგივეს თქმა შეიძლება თბილისში მაისის ძლიერი თქეშის შედეგად მოვარდნილ ღვარცოფს მოყოლილ ტრაგიკულ შედეგზე, რასაც დედისა და ორი ჩვილის სიცოცხლე შეეწირა. უდიდესი საშიშროების წინაშეა ყვარელი, რომელსაც მეწყერი გამუდმებით ემუქრება — საქმეს დროზე თუ არ მიხედა, შესაძლოა უმძიმესი შედეგი მივიღოთ.

გეომორფოლოგიურად საქართველო, მოგეხსენებათ, მთაგორიანი ქვეყანაა, ამიტომაც ჩვენში უამრავი მეწყრული ზონაა, ამას ვერსად გავექცევით. საინჟინრო-გეოლოგიური სამსახურის ერთ-ერთი ამოცანა სწორედ რომ მეწყრული მოვლენების წინასწარ განჭვრეტა და მოსახლეობისთვის მათი ზემოქმედებისგან თავის არიდებაა. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას, შეგვიძლია თუნდაც ცოტა ხნის წინათ ძირულის მასივზე განვითარებული დრამატული მოვლენები გავიხსენოთ...

გამართული საინჟინრო-გეოლოგიური სამსახურის უქონლობას მილიონობით ლარის ზარალი და ხალხისთვის უბედურება მოაქვს, მისი შენახვა კი ამ მატერიალურ და მორალურ ზიანთან შედარებით, რომ იტყვიან, გროშები დაჯდა.

ჰოდა, ვინმემ ხომ უნდა იზრუნოს საკითხისადმი არა საკუთარი ამბიციებიდან გამომდინარე მიდგომაზე, როგორც მერიის ერთ ჩინოსანს უბრძანებია — ახლა რა, სად და რა ავაშენოთ საინჟინრო-გეოლოგიურ სამსახურს უნდა ვკითხოთო?, არამედ მოსახლეობის ელემენტარული უსაფრთხოების დაცვისა და საზოგადოებრივი სახსრების დაზოგვის პრინციპიდან გამომდინარე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ატეხილი სამშენებლო ბაქი-ბუქიდან ხეირიანი არაფერი გამოვა.

ოთარ ტურაბელიძე

◉ დაიჯესტი

# მომაკვდინებელი კბენა

**ადამიანები ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. სნეულება, რომელიც კოღოს ნაკბენის შემდეგ ჩნდება, შესაძლო ფილტვებში სიმსივნის წარმოშობის მიზეზი გახდეს.**

**ერთი ასეთი შემთხვევა ვალენტინა მ-ს მოუვიდა აზოვის ზღვაზე დასვენებიდან ერთი წლის შემდეგ. ექიმებმა მას გაურკვეველი წარმოშობის სიმსივნე დაუდგინეს, ამასთან ყველა ანალიზი ნორმაში იყო. როცა გაურკვეველი წამონაზარდი მოაცილეს, დაინახეს, რომ ის... ჭიებით იყო სავსე!**



აღმოჩნდა, რომ ინფექციის გადამტანები კოღოები არიან. ზოგადად, ესაა ძაღლის პარაზიტი და ადრე ადამიანს არ გადაეცემოდა, მაგრამ ბოლო წლებში ექიმები დაავადებულ ადამიანთა მკვეთრ ზრდას აფიქსირებენ. **ამის შედეგია მძიმე პნევმონიები, სიმსივნური წარმონაქმნები, კანქვეშ მცოცავი ჭიები, რომლებიც ზოგჯერ საზარდულშიც კი ძვრებიან და რიგ შემთხვევაში სიბრმავის გამოწვევა შეუძლიათ. ამის მიზეზებია უპატრონო ძაღლთა და გადამტანთა რიცხოვნობის მკვეთრი მომატება.**

ისევე როგორც ყველა მწერი, დროთა განმავლობაში კოღოები ახალი ინტექსიციდების მიმართ დამცველ რეაქციას გამოიმუშავებენ, რაც მათთან ბრძოლას დიდად ართულებს. ძველი, „სასიკვდილო“ დდტ-ს რიგის პრეპარატების გამოყენება კი აკრძალულია, რადგან ეკოლოგიასა და ფაუნას დიდ ზიანს აყენებს.

**მსოფლიოში ჯანდაცვის ორგანიზაციის ექიმებმა ახალ დაავადებას ინფექცია უწოდეს, რომელიც ძალიან სწრაფად ვრცელდება.** ზოგადად კი, ყველა სისხლის მწოველი უამრავი ძალიან სახიფათო დაავადების — ციებცხელების, ენცეფალიტების, მალარიის, ლეიშმანიოზისა და სხვ. გადამტანები არიან. **ყველაზე საშიშნი მოსკიტები არიან, რადგან ისინი არც ჩანან, არც მათი ხმა ისმის. მათგან ინფექციის შეყრა არა მარტო აფრიკაში, ინდოეთსა და ბრაზილიაშია შესაძლებელი, არამედ კვიპროსზე, კრეტაზე, სამხრეთ იტალიაში...** პარაზიტები სისხლისა და ღვიძლის უჯრედებს აზიანებენ, ამიტომაც მკურნალობის გარეშე კაცი კვდება.

სისხლის მწოველის პარაზიტებიდან ყველაზე ეგზოტურები ეგრეთ წოდებული „კოცნის ბაღლინჯოებია“. ისინი ადამიანს, ჩვეულებრივ, ღამე ტუჩებში კბენენ, მათი სახელწოდებაც აქედან მოდის. ადამიანი ჭრილობას იფხანს და ინფექცია სისხლში შეაქვს. **ეს ავადმყოფობა ორასი წლის წინათ აღწერეს მაგრამ მისი მორევა დღემდე ვერ შეძლეს. იგი ადამიანის გულს და კუჭ-ნაწლავს აზიანებს, მისგან განკურნვა ძალიან ძნელია, ზოგჯერ კი, სულაც, შეუძლებელი!**

ასეთ დაავადებათა უმრავლესობის სიმპტომატიკა ერთობ არასპეციფიკურია, თავდაპირველად ბანალურ გაციებას ჰგავს. ამიტომ თუკი დასვენებიდან დაბრუნებულ კაცს მაღალი სიცხე სამ დღეზე მეტი ხანი აქვს, მან აუცილებლად სპეციალისტს უნდა მიმართოს.

### ინფორმაცია თემაში

**დასასვენებლად რომ ჩახვალთ, სასტუმროს ნომერი ინტექსიციდის აეროზოლით დაამუშავეთ, რათა ყველა მფრინავი სისხლის მწოველი მწერი მოსპოთ.**

**კოღოიან მხარეებში აუცილებლად იხმარეთ რეპელენტები, რომლებიც შემადგენლობისდა მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა:**

**1. ექსტრემალურები (მათში მწერთაგან დამცავი დიეტილუამიდის (დეტა) 35 პროცენტია) — ისინი მეთევზეთათვის და მონადირეებისთვისაა განკუთვნილი და 4-5 საათს მოქმედებენ;**

**2. საოჯახო (დეტა — 20 პროცენტი) — აგარაკისა და პიკნიკისთვის, მოქმედების დრო — 3 საათამდე;**

**3. საბავშვო (დეტა — არაუმეტეს 10 პროცენტისა) — პატარებისთვის აეროზოლების გამოყენება რეკომენდებული არ არის, ამიტომ მათთვის უმჯობესია საცხების, გელებისა ან რძის ხმარება.**

**● ეტიკეტზე მითითებული რეპელენტის მოქმედების დრო მცირდება სიცხეში, ოფლის გამოყოფის, ქარისა და სინესტესთან შეხების დროს;**

**● სასურველი არ არის აეროზოლის სახეზე დატანა, რადგან გაოფლიანების დროს პრეპარატი შეიძლება პირში ან თვალში ჩაგივარდეთ;**

**● რეპელენტის გამოყენებამდე კანი ალერგიულ რეაქციაზე შეამოწმეთ, რისთვისაც რეპელენტი მაჯის შიდა მხარეს დაიტანეთ;**

**● ერთ-ერთი ბოლო სიახლეა ანტიმოსკიტური სამაჯურები — ელასტიკური პლასტიკი მწერთათვის უსიამო მცენარეული ზეთებითაა გაჟღენთილი. ისინი 120-140 საათის მუშაობაზეა გათვლილი და ბავშვებისთვის უვნებელია.**

თამარ გოგიაშვილი

◉ ინფორმაცია

# ხანძარი აბანოთუბანში

**აბანოთუბანში, ბააზოვის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლი დაიწვა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი სავარაუდოდ მოძველებული ელექტროგაყვანილობა გახდა. 15 წუთის განმავლობაში ცეცხლს 10 სახანძრო ბრიგადა აქრობდა.**

**საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის თემურ გიორგაძის ინფორმაციით, ცეცხლი 100 კვადრატულ მეტრზე იყო მოდებული, თუმცა ჩაქრობა დროულად მოხერხდა.**

ინტერპრესნიუსი

**ნოდარ, ოთარ, ანზორ, ლერი, დავით ჭითანავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სამეურნეო მუშაკი, შესანიშნავი ადამიანი და მეგობარი, უკეთილშობილესი ადამიანი**

**ლიუდმილა ჭითანავა**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ფეისბუქიდან

# წიკლაური – ნაციონალების ნიღაბი

**დავით ცინცაძე:** ამ ხოცვა ჟლეტით საქართველოს ჰიტლერულმა ხელისუფლებამ კვლავ უკან დახია ბოლო პერიოდში ჩერქეზებთან და ჩრდილო კავკასიელებთან აღდგენილი ურთიერთგაგებისა და მეგობრობის პოზიციები და საქართველოს სახელმწიფოს ისევ გადაჰკიდა (რუსეთის დავალებით ან პროვოცირებით



ჩრდილოეთ კავკასიელები... ქართველები ხომ ისევ შეაჟლიტა თავის ინტერესებს... ნორმალური, პასუხისმგებლობით გამსჭვალული ხელისუფლება ყოველი ძალით ეცდებოდა უსისხლოდ დასრულებულიყო ეს რუსეთის მხრიდან წამოსული პროვოკაცია... მოიწვევდა ეუთოს, გაეროს, ევროკავშირის წარმომადგენლებს და მათ მოსცემდა მოლაპარაკების წაყვანის საშუალებას... ალყაში მოქცეულებს შესთავაზებდა იარაღის დაყრას და საქართველოს ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვებას (არა რუსეთის მხარესძ, რასაც ზოგიერთი მონაცემით თვითონ ითხოვდა შემოსული შეიარაღებული დაჯგუფება... მაგრამ მიხეილ ჰიტლერს ხომ არჩევნები აქვს გასაყალბებელი... ხოლო სისხლისსმელი, ფულისტი, ანტიდემოკრატი, უსამართლობის ხელშემწყობი და არჩევნების გაყალბების თანამონაწილე ნუგზარ წიკლაური არც კი უშვებს იმას, რომ სახელმწიფოს ხელისუფლება პირველ რიგში ვალდებული იყო ყოველი ძალისხმევა მიემართა ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად. ამ ადამიანის ცინიზმს და ცრუპენტელობას საზღვარი არა აქვს... ქართველი ჯარისკაცების სისხლი ამ ინციდენტში სწორედ წიკლაურის, სააკაშვილის და ხელისუფლების სინდისზეა! ასევე წიკლაურს როცა უნდა მოჯაჰიდები ჩრდილოეთ კავკასიელი გმირები არიან, რომლებიც სამშობლოს განთავისუფლებისათვის რუსეთის იმპერიას ებრძვიან, ხოლო როცა პუტინთან ქულების დაწერა უნდა მიხეილ ლენინს მაშინ მოჯაჰიდები ტერორისტები და მკვლელები არიან....

**ნანი გელანტია:** აუტანელია ნუგზარ წიკლაურის და მისნაირის მოსმენა და დანახვა,ისეთ ზიზღს იწვევენ, რომ სადაც ამათი სახე გამოჩნდება, ავტომატურად ვრთავ ტელევიზორს. ახლა გახდა საქართველოს მოსახლეობა კარგი,საყვარელი და ბრძენი???... საზიზღარო, როდესაც შრომის კანონთა კოდექსს ილებდით, შუქს და ნაგავს ერთმანეთს აბამდით და კიდევ სასამართლოები და ათასი სხვა, თქვენ ადამიანის უფლებების დაცვაზე გველაპარაკებით???... ნაძირლებოოოოოოოოოოოოოოოოო, თქვენი დასასრული 1 ოქტომბერს იქნება.ქართველი ხალხი თქვენ გამოგიტანთ განაჩენს ნაძირლებოოოოოოოოოოოოოო!

**ლილიკო გვარიშვილი:** ამდენ ტყუილებს საიდან იგონებს ნუგზარ წიკლაური? ვატყობ, დიდი ფანტაზია აქვს.

**შორენა შავერდაშვილი:** ბრავო, წიკლაური „გაბრწყინდა"!..

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### „დაფარული ნომრიდან დედაჩემს დაურეკეს და ჩემზე ემუქრებოდნენ"

– ამბობს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში ამბაკო ავალიანი, რომელიც ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრთან ლადო ვარძელაშვილთან შესახვედრად წაიყვანეს. როგორც ავალიანი აცხადებს, შეხვედრისას მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა. „წაყვანისას წამართვეს ტელეფონი. შეხვედრას ვარძელაშვილის გარდა ესწრებოდა გია უდესიანი, დავით ნამგალაური და კიდევ რამდენიმე ადამიანი. მისი თქმით, მას ყველა შეჯიბრებაზე ბლოკავდნენ, რადგან ოპოზიციურად იყო განწყობილი. „ვარძელაშვილმა მითხრა, რომ ხელფასს შემიწყვეტდა და თავის პირობას ჯერჯერობით ასრულებს. უდესიანი დამემუქრა, სვანი რომ ხარ ამიტომ შევიკავებ თავს, თორემ ჩაგმარხავდი მიწაშიო".

### „ოცნებასა" და „ნაციონალურ მოძრაობას" შორის სხვაობის დანახვა სულ უფრო მიჭირს"

– აცხადებს პარტია „თავისუფალი საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნანა დევდარიანი, – მე თუ მკითხავთ, უნდა გაერთიანებულიყო ყველა, დაემარცხებინათ „ნაცმოძრაობა", შემდეგ დაენიშნათ რიგგარეშე არჩევნები და ყველას ცალ-ცალკე მიეღო მასში მონაწილეობა. რაკი ასე არ მოხდა, ყველა თავისთვის იბრძოლებს.

„რეზონანსი"

### რას უნდა ველოდეთ ლაფანყურის ინციდენტის შემდეგ?

როგორც წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიის" მეთაური ვაჟა წიკლაური ამბობს, ტერაქტების მოლოდინში, პრეზიდენტს შეუძლია, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა. რაც შეეხება გამოსავალს, უცხოეთის აქტიურობის გარეშე, საქართველოში უმართავი პროცესები დაიწყება.

„ვერსია"

### „მარტო შეწყალება კი არა, ფართომასშტაბიანი ამნისტია უნდა განხორციელდეს"

– მიაჩნია ადამიანის უფლებათა დამცველ გიორგი თევზაძეს, – ციხეებში რჩებიან ადამიანები, რომლებსაც, ფაქტობრივად, სასჯელის ნახევარზე მეტი მოხდილი აქვთ. დროა, ხელისუფლებამ იფიქროს ციხეების განტვირთვაზე, მძიმედ დაავადებული პატიმრების განთავისუფლებაზე, რადგან ციხეებში ტუბერკულოზი და სხვა ინფექციური დაავადებები მძვინვარებს. ამნისტიის კანონპროექტი პარლამენტში უმრავლესობამ დაბლოკა, თუკი ამ კანონპროექტს მიიღებდნენ, გარკვეულწილად საპატიმრო დაწესებულებები გამოთავისუფლდებოდა.

„ახალი თაობა".

კადრი



ანეკდოტები

– **გუშინ** ჩემ ცოლს ვიღაც ფრანგთან შევუსწარი საძინებელში.
– მერე? რა უთხარი?
– რა უნდა მეთქვა, ერთი სიტყვა ფრანგული არ ვიცი.

* * *

**ბავშვი** შედის აფთიაქში:
– ტკივილგამაყუჩებელი გააქვთ?
– კონკრეტულად რა გტკივა?
– ჯერჯერობით არაფერი, მაგრამ მამაჩემი მშობელთა კრებაზე წავიდა.

* * *

– **მამი**, მამი, სკოლაში დიდთავას მეძახიან.
– მერე, სცემე, შვილო.
ჰო, მაგრამ ვიწრო დერეფნებში დარბიან.

* * *

**ახალგაზრდა** ქალი შედის პიცერიაში. მიმტანმა მოუტანა პიცა და ეკითხება:
– რამდენ ნაჭრად დავჭრა, ოთხად თუ რვად?
– ოთხად, რვას ვერ შევჭამ.



**კაცმა** ალაყაფის კარზე დააწერა: „ეზოში ავი ძაღლია". მეზობელმა ჰკითხა:
– ძაღლი მოიყვანე?
– არა, ცოლს დეპრესია აქვს.

* * *

**პატარა** ბავშვი ეუბნება დედას:
– დედიკო, მე ერთ დეიდას ფეხზე ფეხი დავაბიჯე და ბოდიში მოვუხადე. მან კი შოკოლადი მომცა.
– მადლობა ხომ უთხარი?
– არა, მეორე ფეხზეც დავაბიჯე.

* * *

**შვილი** ეუბნება მამას:
– სიზმარში ვნახე, რომ 500 ლარი მომეცი.
– 500 ლარი?
– ხო, 500!
მაშინ დამიბრუნე 300, შენ 200-იც გეყოფა.

* * *

**ექიმბაშს** ეკითხებიან:
– ექიმო, ამ თქვენს მიერ დამზადებულ წამლებს მოაქვს რაიმე სარგებელი?
– რა თქმა უნდა. ერთ შვილს უკვე ვუყიდე სახლი, ახლა ფულს მეორესთვის ვაგროვებ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ძოზულია
299-62-77;
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24